



თბილისის ღია სასწავლო  
უნივერსიტეტი

თემა: ქალის სოციალურ პოლიტიკური როლი ისლამში

თათია ბედიანი

წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, 0177

თბილისი

ავტორი: თათია ბედიანი \_\_\_\_\_

საიდენტიფიკაციო ნომერი \_\_\_\_\_

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

სკოლა: ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამა: საერთაშორისო ურთიერთობები

„ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ნინო ჯარიაშვილის მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: ქალის სოციალურ - პოლიტიკური როლი ისლამში" და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილული იქნას თბილისის ღია უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის საგანმანათლებლო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად".

თარიღი \_\_\_\_\_

ხელმძღვანელი : სოფო ჩქოფოია, სრული პროფესორი.

\_\_\_\_\_

რეცენზენტი:

\_\_\_\_\_

ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი:

ნათია ვაჭარაძე

\_\_\_\_\_

## სარჩევი

რეზიუმე -----	4
Resume -----	6
შესავალი -----	8
<b>თავი I</b>	
1. აღმოსავლეთის ქალები პოლიტიკურ ცხოვრებაში -----	9
1.1. ქალის ღირსება, და უფლებები ისლამში -----	16
1.2. ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხი ირანში, 1979 წლის რევოლუციამდე და შემდეგ -----	25
<b>თავი II</b>	
2. ძალადობა ისლამის სახელით და ინტერპრეტაციის მნიშვნელობა -----	30
2.1. ტერორისტი ქალები, ბრძოლა თანასწორობისათვის -----	35
2.2. უსაფრთხოება ჩადრის ქვეშ -----	41
დასკვნა -----	47
გამოყენებული ლიტერატურა -----	49

## რეზიუმე

ჩვენს მიერ საკვლევი სამაგისტრო ნაშრომი „ქალის სოციალურ პოლიტიკური როლი ისლამში“, შეეხება მუსლიმ ქალთა თანამედროვე ცხოვრებას, მათ უფლებებს, როგორც სოციალურ ასევე პოლიტიკურ ასპექტში.

ასევე ქალთა გენდერული თანასწორობის საკითხს ირანში, 1979 წლის რევოლუციამდე და მის შემდეგ, კონკრეტულად რა ცვლილებები გამოიწვია ამ რევოლუციამ ქალთა გენდერული თანასწორობის საკითხთან მიმართებაში და თუ არა ეს რევოლუცია დემოკრატიისკენ გადადგმული ნაბიჯი.

ასევე განხილულია თუ რას გულისხმობს ფრაზა: „ძალადობა ისლამის სახელით“, ეს რელიგიური ძალადობაა თუ ძალადობა რელიგიის სახელით? ამას თვითონ ისლამური რელიგია ქადაგებს თუ ერთგვარი დოგმად ქცეული სახელწოდებაა.?

აგრეთვე მნიშვნელოვანი საკითხია, ის თუ რატომ იბრძვიან ტერორისტი ქალები? რა მიზეზებით გაიზარდა ტერორისტულ საქმიანობაში მათი რაოდენობა? ვინ იყო პირველი ქალი ტერორისტი და რატომ ეძახიან ტერორისტ ქალებს „შავ ქვრივებს“?

რას ნიშნავს მუსლიმი ქალებისთვის ტერმინი: უსაფრთხოება ჩადრის ქვეშ. ეს სურვილია თუ რელიგიური ვალდებულება?

**ნაშრომის შექმნის მიზანი** გახლდათ, შეგვესწავლა და წინ წამოგვეწია ის ძირითადი პრობლემები, რაც მუსლიმი ქალების ცხოვრებაში გვხვდება, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებმა მოიცვა, ისლამური სახელმწიფოები ისევ საკმაოდ დაბალ დონეს აჩვენებენ განვითარების კუთხით.

**კვლევის ამოცანაა**, რომ ნათლად წარმოაჩინოს აღნიშნული საკითხის აქტუალობა, დაგვანახოს ისლამური ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ქალთა სპეციფიკური პრობლემები და ვიპოვოთ მათი გადაჭრის შესაძლო გზები. ეპოქაში, სადაც მსოფლიოს განვითარებული სახელმწიფოები იბრძვიან დემოკრატიული პრინციპების გასაძლიერებლად, არსებობს ცალკეული ქვეყნები, სადაც განვითარება ამ კუთხით მნიშვნელოვნად დაბალია, რადგან ისინი თვლიან, რომ შორს დგანან დემოკრატიისგან, მათი ძირითადი ქცევები და უფლებები, მათ საკუთარ რელიგიას და ტრადიციას ემყარება, სადაც ზუსტადაა განსაზღვრული ქალის როლი.

**კვლევის საგანია:** ქალის, სოციალური, პოლიტიკური უფლებებისა და შრომის პრობლემა, აგრეთვე განათლების, გენდერული თანასწორობის, დედობის, ქალთა ჩაცმულობის და ყველაზე მთავარი ტერორიზმის პრობლემა, მათი გამომწვევი ძირითადი მიზეზები.

**კვლევის იბიექტია** ახლო აღმოსავლეთი, კერძოდ კი ისლამური სახელმწიფოების შესწავლა, ქალთა სოციალურ - პოლიტიკური მდგომარეობის და ცხოვრებაში არსებული პრობლემების შესწავლის კუთხით.

**კვლევის თეორიულ საფუძველს** წარმოადგენს, როგორც უცხოელი, ასევე ქართველი პროფესორ - მეცნიერების ნაშრომები, აგრეთვე სტატიები, დისერტაციები, საერთაშორისო საკანონმდებლო და ნორმატიული-სამართლებრივი დოკუმენტები.

**ძირითადი, შედეგად** ვამტკიცებთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმი აპოლოგები იდეალურ დამოკიდებულებას გვიხატავენ ქალებისადი ისლამში, ვფიქრობ, რომ ეს მხოლოდ სიმართლის დაფარვის მცდელობაა და არაფერი აქვს საერთო რეალობასთან.

**კვლევის სიახლე** ნათლად გვაფიქრებს ქალთა მდგომარეობის შესაძლო გაუარესებაზე ისლამის ცალკეულ ქვეყნებში, რადგან ისლამურ ქვეყნებში ქალის ძირითად უფლებებს განსაზღვრავს რელიგია და ქვეყნის ტრადიციები, რომლებიც თანამედროვეობასთან ფეხის აწყობას არ ჩქარობენ.

აგრეთვე, ხშირად საჭიროა რელიგიური პრაქტიკისა და ტრადიციების გარდაქმნა და ხელახალი ფორმირება, რათა მოხდეს სოციალური სტრუქტურების განვითარება. ამ საკითხის მიმართ მაგ: ისლამური ქვეყნები კონსერვატულად არიან განწყობილი.

## Resume

We have studied the Master's thesis "Women's Social Political Role in Islam" which refers to the modern life of Muslim women, their rights as social and political aspects.

Also, the issue of women's gender equality before and after the 1979 revolution in Iran, specifically what changes this revolution has caused about women's gender equality issues and whether this revolution is a step towards democracy.

It also refers to what the phrase is: "violence in the name of Islam", is it religious violence or violence in the name of religion? Does Islam religion preach if it is a kind of dog-like name?

It is also an important issue why are fighting female terrorists? What are the reasons for the increasing number of female terrorist activities? Who was the first female terrorist, and why is it called terrorist women "black wives"?

What does it mean for Muslim women: security under the chador. Is this a desire or a religious obligation?

The aim of creating the work was to study and develop the main problems that are found in the life of Muslim women, despite the global globalization processes, Islamic states still show a low level of development.

The task of the research is to clearly demonstrate the importance of the abovementioned issue, to show the specific problems of women characteristic of Islamic countries and find ways to solve them. In the epoch where the developed world struggles to strengthen democratic principles, there are separate countries where the development is significantly lower in this regard because they think that they are far from democracy, their core behaviors and their rights, based on their own religion and tradition, where the role of women is definitively defined.

The subject of the research: the problem of women, social, political rights and labor, as well as education, gender equality, maternity, women's dressing and the main problem of terrorism, the main reasons for their cause.

The objective of the study is the Middle East, particularly the study of Islamic states, the socio-political situation of women and the study of existing problems in life.

The theoretical foundation of the research is a foreigner as well as Georgian professors - scientific works, as well as articles, dissertations, international legislative and normative-legal documents.

The main, as a result, prove that even though Muslim apologists give us ideal attitudes about women in Islam, I think that this is just an attempt to cover the truth and have nothing common with reality.

The news of this research is clearly making us think about the possible deterioration of women's situation in individual countries of Islam, as the basic rights of women in Islamic countries determine the religion and the traditions of the country, that do not make their foot a hurried with modernity

Also, it is often necessary to convert and re-establish religious practices and traditions to develop social structures. In this case, the Islamic countries are conservative.

## შესავალი

**თემის აქტუალურობა** - ქალთა როლი, სტატუსი და მდგომარეობა ყოველთვის იყო განსჯის მიზეზი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ისტორია, ფილოსოფია და სხვ. სხვადასხვანაირად ასახავენ ქალის დანიშნულებას, ღირსებას და ნაკლს როგორც ოჯახში ასევე საზოგადოებაში. ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს რელიგიაც.

გლობალიზაციის პროცესმა და მსოფლიოში მიმდინარე ახალმა გამოწვევებმა მკვეთრად წამოწია წინ ქალის როლი თანამედროვე პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებში. თანამედროვე მსოფლიოში საკმაოდ აქტუალურია და ხშირად გვესმის შემდეგი ფრაზები: ქალი საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობაში, ასევე ქალი, როგორც აქტიური სამოქალაქო პირი და ა.შ

ხალხის ცნობიერებაში ერთგვარი ფესვები აქვს გადგმული აზრს, რომლის თანახმადაც ქალის პოლიტიკური და სოციალური აქტივობა უარყოფითად მოქმედებს ოჯახურ ურთიერთობებზე და ბავშვებზე. სწორედ მსგავსი წარმოდგენები ქალებში გარკვეული დანაშაულის გრძნობას იწვევს, რაც ხელს უშლით მათ პროფესიულ ზრდას. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ თანამედროვე მსოფლიოში ადამიანთა დაყოფა, „სუსტ“ და „ძლიერ“ სქესად თანდათან პირობით სახეს იძენს.

**მეცნიერული სიახლე:** ნაშრომში განხილულია შემდეგი პრობლემები:

- ახლო აღმოსავლეთში ქალების შეზღუდული ჩართულობა ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ საქმიანობაში.
- ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობისთვის ხელის შემშლელ ფაქტორები.
- არის თუ არა დაცული მუსლიმ ქალთა ღირსებები და უფლებები .
- . რა მდგომარეობას აკუთვნებს რელიგია მუსლიმ ქალებს.
- ისლამი და ძალადობა?.
- ტერორისტი ქალები.
- მუსლიმი ქალების ჩაცმულობა.
- მუსლიმი ქალების განათლების პრობლემა.



**კვლევის მიზანი და ამოცანები:** მდგომარეობს იმაში, რომ ნათლად წარმოაჩინოს აღნიშნული საკითხის აქტუალობა, დაგვანახოს ისლამური ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ქალთა სპეციფიკური პრობლემები და ვიპოვოთ მათი გადაჭრის შესაძლო გზები.

**კვლევის საგანი:** ნაშრომში წარმოჩენილილია სამეცნიერო ლიტერატურის და სხვადასხვა სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები და რეკომენდაციები.

**გამოყენებული მეთოდოლოგია:** კვლევისას გამოყენებულია თვისობრივი მეთოდოლოგია და აღწერილობითი მეთოდი, ასევე გამოყენებულია სტატისტიკური კვლევის მეთოდები და სოციალური მეთოდები.

**კვლევის თეორიულ საფუძველს** წარმოადგენს უცხოელი და ქართველი მეცნიერების ნაშრომები, სახელმწიფო უნივერსიტეტების ანალიტიკური ნგარიშები, მსოფლიო პრაქტიკის ამსახველი წყაროები და სხვადასხვა საკანონმდებლო და სამართლებრივი დოკუმენტები,

## თავი I

### 1.1 აღმოსავლეთის ქალების პოლიტიკური ცხოვრებაში

ქალები ყოველთვის შეადგენდნენ საზოგადოების უდიდეს ნაწილს, მაგრამ ყოველთვის უმცირესობაში აქცევდნენ განიცდიდნენ მუდმივ დისკრიმინაციას მრავალ ქვეყანაში და ყოველთვის ყველაზე დაბალ სოციალურ საფეხურზე იდგნენ. ქვემოთ ვისაუბრებთ თუ რატომ არის მათთვის მიუწვდომელი, როგორც პოლიტიკური ისე საზოგადოებრივი კარიერა.

თანამედროვე მსოფლიოში ადამიანის უფლებების დაცვა საკმაოდ აქტუალური თემაა და მითუმეტეს არავის არ უკვირს პოლიტიკოსი ქალი განვითარებულ სამყაროში, მაგრამ ამავედროულად რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობაა მსოფლიოს მეორე მხარეს. ისლამისტურ ქვეყნებში ისევ მიმდინარეობს ქალთა მიმართ დისკრიმინაცია. საინტერესოა თუ როგორ გავლენას ახდენდს ისლამისტური რელიგია და ტრადიციები ქალის როლზე პოლიტიკურ ცხოვრებაში.

იმას, თუ რატომ იზღუდება ქალი და რატომ არ შეუძლია მას სურვილისამებრ ჩაერთოს პოლიტიკაში? სხვადასხვა მიზეზი აქვს. დღევანდელ მსოფლიოში დემოკრატიული ქვეყნებით თანასწორობის უფლებებით იწონებენ თავს, თუმცა ისლამისტები აღიარებენ, რომ შორს დგანან დემოკრატიისაგან, რომ მათი ძირითადი ქცევები და უფლებები, მათ საკუთარ რელიგიას და ტრადიციას ემყარება, სადაც ზუსტადაა განსაზღვრული ქალის როლი - ქალი გაჩენილია ოჯახისთვის, იგი არ არის აღქმული საზოგადოების წევრად. ქალის როლის ამგვარი დაკნინება გახდა შემდგომი მანიფესტაციებისა და პროტესტის მიზეზი. სწორედ ამგვარმა პროცესმა დაუდო სათავე ისლამისტურ ფემინიზმს, რამაც შეძლო და საგრძნობლად შეასუსტა გარკვეული დოგმები და რელიგიური ნორმები.

აღსანიშნავია, რომ უმეტესობა ქალი ლიდერებისა გვხვდება განვითარებულ ქვეყნებში, თუმცა აქვე გვაქვს იაპონიისა და სამხრეთ კორეის მაგალითიც, რომლებიც გამოირჩევიან ახალი ინდუსტრიული და მზარდი

ეკონომიკის მაჩვენებლით. აზიაში (განსაკუთრებით სამხრეთ აღმოსავლეთ) ქლათა პოლიტიკურ მოღვაწეობა მეტ წილად დაკავშირებულია საზოგადოების ფორმებთან, პოლიტიკური სისტემის მიუხედავად, ძალაუფლება რამოდენიმე პირის ირგვლივ არის თავმოყრილი და საკმაოდ შორს დგას ჩვეულებრივი ხალხისგან. ხშირია შემთხვევები, როდესაც პირები ერთპიროვნულად განაგებენ მათ ძალაუფლებას და საჭიროების შემთხვევაში არსებულ ინსტიტუტებსაც აარიდებენ თავს. სწორედ ეს ასუსტებს დემოკრატias და მას უმოქმედოს ხდის, თუმცა დემოკრატias ერთ-ერთი ფუნდამენტალური ღირებულება, საარჩევნო სისტემაა, რომელიც ფუნქციონირებს.

**ახლო აღმოსავლეთი**, ბოლო პერიოდში ეს ტერმინი ხშირად გამოიყენება ჟურნალისტების და კომენტატორების მიერ. აღნიშნული რეგიონი მოიცავს თანამედროვე პალესტინის და ისრაელის ტერიტორიებს, ლიბანს, სირიას, და იორდანias, ასევე მცირე აზიას (თანამედროვე თურქეთი), ირანის პლატო (ავღანეთი, ირანი და დას. პაკისტანი) და მესოპოტამია (ერაყი და აღმოსავლეთ სირია). ახლო აღმოსავლეთში მცხოვრები ხალხი, ისლამის მიმდევარია (ისლამის მიმდევარს ეწოდება მუსლიმი, ასევე მაჰმადიანი, მუსლიმანი, ან მუსულმანი) და საერთო ჯამში ამ რელიგიის მიმდევართა რიცხვი, 2009 წლის მონაცემებით 1.57 მილიარდს აღწევს, რაც მსოფლიოს მოსახლეობის 23%-ს შეადგენს.

მუსლიმანური ქვეყნებისათვის დამახასიათებელია, ქალთა სპეციფიკური პრობლემები, ზოგიერთ ქვეყანაში - ეს არის პოლიტიკური უფლებებისა და შრომის პრობლემა (სპარსეთის ყურის ქვეყნები და საუდის არაბეთი), ზოგან განათლების პრობლემა (აფრიკის ჩრდილოეთი და სპარსეთის ყურე), საზოგადოებრივი მენტალიტეტის (არაბული ქვეყნები), ზოგან კი დედობის პრობლემა ( ლიბანი, იემენი, ეგვიპტე, ერაყი, პალესტინა).

კონსტიტუციით არის გამყარებული მთელ რიგ მუსლიმანურ ქვეყნებში ( ეგვიპტე, სირია, იემენი, ერაყი, ირანი და სხვ), თუმცა მიუხედავად ამისა, მათი პოლიტიკური აქტიურობა საკმაოდ დაბალია.

ახლო აღმოსავლეთის არც ერთ ქვეყანაში ქალებს არ მიუღიათ საარჩევნო უფლებები ისე ადრე, როგორც მამაკაცებმა, და ზოგიერთ შემთხვევაში დღესაც არ

გააჩნიათ სამოქალაქო და საარჩევნო უფლებები. მთავრობაში ქალებს ეკრძალებათ მაღალი თანამდებობის დაკავების უფლება, ისლამური კანონების მიხედვით.

უნდა დავუკავშიროთ თუ არა მხოლოდ ისლამს, ახლო აღმოსავლეთში არსებული გენდერული უთანასწორობა? მსგავსი კონცეფცია არასრული იქნება.

ქალთა მდგომარეობა რეგიონში არ არის განპირობებული მხოლოდ ისლამისთვის დამახასიათებელი ჩვეულებებით. სხვა ძირითად რელიგიებზე უფრო პატრიარქალური არ არის ისლამი, მაგალითისთვის, ინდუიზმი, იუდაიზმი, ან ქრისტიანობა მოვიყვანოთ, ყველა მათგანი ხედავს ქალის როლს, როგორც ცოლისას და დედისას. როგორც სხვა რელიგიებში ასევე ქრისტიანობაშიც ქალი ქალი განაგრძობს ბრძოლას მამაკაცთან თანასწორი მდგომარეობის მოსაპოვებლად.

აღმოსავლეთის ქვეყნებში ქალი და პოლიტიკა ურთიერთის არაკეთილხმოვან სიტყვებს წარმოადგენდნენ, ეს არის ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი, რომელიც ქალებისთვის პოლიტიკური შეღავათებისთვის საპირისპიროდ მოყავდათ იმ მოსაზრებას ეფუძვნება, რომ ეს ჯერ დაასუსტებს, შემდეგ კი დაშლის ოჯახს.

აზიის ქვეყნების უმრავლესობას აქვს ქალებისთვის მინიჭებული საარჩევნო უფლება და ამავე ქვეყნების კონსტიტუციაში აღნიშნულია ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა, თუმცა მიუხედავად ამისა ეს სახელმწიფოები მაინც ვერ აღწევენ სასურველ მაჩვენებელს გენდერულ პოლიტიკაში. ამ შემთხვევაში საინტერესოა, მოკლედ განვიხილოთ, თუ რა არის გენდერული კვოტირება. იგი წარმოადგენს დროებით მექანიზმს, რომელიც პოლიტიკურ ინსტიტუტებში ქალთა მონაწილეობის გასაზრდელად გამოიყენება. კვოტირების იდეის მიზანია დაიცვას ქალები პოლიტიკური იზოლაციისაგან. მაგ. ინდოეთი არ სარგებლობს კვოტირების სისტემით. შრი-ლანკა მიუხედავად იმისა, რომ პირველი პრემიერ მინისტრი ქალის სამშობლოა, დღეს მას ყველაზე დაბალი პოტენციური მაჩვენებელი აქვს ქალთა ქვეყნის ხელისუფლებაში მოღვაწეობისა.

ქალთა პოლიტიკურ როლზე საუბრისას, საკმაოდ საინტერესო და ყურადსაღებია ისლამისტური ფემინიზმი და მისი შეხედულებები, სწორედ მის

ჭრილში განიხილავენ მეცნიერები ქალის როლს ისლამისტურ სახელმწიფოს პოლიტიკაში. ზოგადად ფემინიზმი ცდილობს, რომ ისლამი მოაქციოს ფემინიზმის ჩარჩოებში და სამუდამოდ ქალის ემანსიპაციამდე (განთავისუფლება ვინმეზე დამოკიდებულებისაგან. უფლებრივად გათანასწოლება. ქალის ემანსიპირება ანუ მისი მაგ. უფლებრივი გათანასწოლება მამაკაცთან მიაღწიონ) მიაღწიონ.

**ფემინიზმი**, როგორც საზოგადოებრივი ქალთა მოძრაობა, ქალთა უფლებების დასაცავად ჩაისახა მე-19 საუკუნის მიწურულში, ხოლო მან უფრო აქტიური სახე მე-20 საუკუნის დასაწყისში მიიღო. თავდაპირველად ფემინიზმი დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში ღვივდება. ფემინიზმის წარმომადგენლები მოითხოვდნენ პოლიტიკურ და სამოქალაქო თანასწორუფლებიანობას, საზოგადოებრივ საქმიანობაში ქალთა ჩართულობას და არჩევნებში ხმის მიცემის უფლების მოპოვებას. დროდადრო, ფემინიზმმა როგორც იდეოლოგიურმა და საზოგადოებრივმა დისკურსმა ცხოვრების მრავალი სფერო მოიცვა: პოლიტიკა, ხელოვნება, ჯანდაცვა, ქორწინება, დასაქმება, რელიგია და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ფემინიზმი დასავლური წიალიდან წარმოიშვა, რომელიც დემოკრატიულ ფასეულობებს და ლიბერალიზმს უკავშირდება, რთულია გადაჭრით იმის თქმა, რომ ფემინიზმი მხოლოდ დასავლური მოვლენაა. ამას მოწმობს სწორედ ისლამური ფემინიზმი, რომელიც ქალთა თანასწორობას და უფლებებს ისლამური მოძღვრების ფარგლებში განიხილავს.

დასავლურისგან განსხვავებით, ისლამური ფემინიზმი ცდილობს რელიგიური წარმოდგენები, მოარგოს საზოგადოებრივ ცხოვრებას და ამ მოძრაობაში გააერთიანოს ისლამის მიმდევარი და არა მიმდევარი ქალები.

აღმოსავლეთში ქალთა ფემინიზაციისთვის მნიშვნელოვანია მაჰათმა განდის მოღვაწეობა. ის სისტემატიურად იმაღლებდა ხმას დიდი ხნის წინ დამკვიდრებულ ქალთა სრული უფლებობის წინააღმდეგ. მაჰათმა ქალებს „მსხვერპლად შეწირულებს“ და „ტანჯვის განსახიერებას“ უწოდებდა. ის მკაცრად გამოხატავდა რელიგიურ ტრადიციებს. მისი მმართველობის დროს საგრძნობლად გაიზარდა ქალთა უფლებები, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ქალები

მასობრივად ჩაებნებ განათლების და ჯანდაცვის სფეროში. მაჰათამა განდი ამბობდა, „ქალი მამაკაცის თანაბარია, მისი თანასწორია ჭირსა და ლხინში, ამიტომ არ შეიძლება მამაკაცთა სათამაშო ტიკინა იყოს. მას უფლება უნდა ქონდეს დაიკავოს სხვადასხვა სახის ადმინისტრაციული თანამდებობები სახელმწიფო აპარატის ნებისმიერ სფეროში.“

როგორც უკვე ვახსენეთ, მნიშვნელოვანია ასევე რელიგიური ფაქტორიც, ისლამი, ინდუიზმი და ბუდიზმი ასახავენ ქალის ძლიერ პორტრეტებს, თუმცა მუსლიმანურ სახელმწიფოებში ქალი პოლიტიკოსები თითზე ჩამოსათვლელია, მაშინ, როდესაც ბუდისტურ საზოგადოებაში ეს ფენომენი გასაკვირი სულაც არ არის. აღმოსავლურ რელიგიასა და კულტურაში ქალი გაიგივებულია რელიგიურ ღვთაებასთან.

აგრეთვე არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია განათლება. უამრავ აზიელ ქალ ლიდერებს ჰქონდათ საშუალო განათლება, მათ შორის ბევრი ვერ ამთავრებდა უნივერსიტეტს, რადგან ხშირად ეს მათ სურვილს ეწინააღმდეგებოდა და ისინი იძულებული იყვნენ დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში და მონაწილეობა მიეღოთ ოპოზიციურ და სხვა პოლიტიკურ აქტივობებში. აღსანიშნავია, რომ უმეტესობა ქალი პოლიტიკოსებიდან, განათლების მისაღებად ევროპაში და ამერიკის შერთებულ შტატებში მიემგზავრებოდნენ, რაც შესაბამისად გარკვეულ გავლენას ახდენდა მათ ორიენტაციასა და დემოკრატიულ შეხედულებებზე.

ქალების პოლიტიკურად გააქტიურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ქალთა მოძრაობები, როგორც ფემინიზმი აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა ქალების საკითხებში. 1976-85წწ. გაერომ გამოაცხადა ქალთა დეკადად. მექსიკას მოჰყვა კოპენჰაგენის საერთაშორისო კონფერენცია 1980 წელს, ნაირობის საერთაშორისო კონფერენცია 1985 წელს და პეკინის საერთაშორისო კონფერენცია 1995 წელს. საინტერესოა პეკინის საერთაშორისო კონფერენცია, რადგან ის ახალი ტალღა იყო და იგი მიმართული იყო ქალების საკითხების არა დაცვისკენ, არამედ უკვე მიღწევებზე და მათ განმტკიცებაზე.

ამრიგად ქალთა გააქტიურება პოლიტიკაში განაპირობა სხვადასხვა ფაქტორებმა, მათ შორისაა: რელიგია, განათლება, კოლონიალიზმის გავლენა, საარჩევნო უფლების მოპოვება, კვოტირების სისტემის მნიშვნელობა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა საკითხებისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონფერენციები და მათი წვლილი ქალთა პოლიტიკური აქტივობის საქმეში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახლო აღმოსავლეთში, რელიგია ერთ-ერთი მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორია ქალების პოლიტიკურად გააქტიურების საქმეში, აგრეთვე ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენს პატრიარქალური სტრუქტურა და კონსერვატიული მიდგომა, კულტურა და ტრადიციები, რაც ძირითადად გამოიყენება იმის გასამართლებლად, რომ ქალის ადგილი არ არის პოლიტიკაში.

გარდა ამისა ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ისიც, რომ ქალებს აქვთ პარტიული მხარდაჭერის ნაკლებობა, შეზღუდული ფინანსური და სოციალური დახმარება, შეზღუდული წვდომა პოლიტიკურ ქსელებთან და ა.შ.

აღმოსავლეთისთვის მნიშვნელოვანია ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის გაზრდა, რისი დახმარებითაც ექნებათ უფრო მეტი ხელმისაწვდომობა ეკონომიკურ შესაძლებლობებზე. ეს ასევე ხელს შეუწყობს რეგიონის ქვეყნებისა და ოჯახების კეთილდღეობასა და განვითარებას.

ქალებში პოლიტიკური ცნობიერების ასამაღლებლად საჭიროა დაგეგმილი და განვითარებული ქალთა პოლიტიკური განათლებისა და ტრენინგ სისტემების არსებობა, საარჩევნო სისტემის დახვეწა და ქალების ინტერესების მეტად გატარება.

დასასრულს განვიხილოთ, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიში, რომლის მიხედვით „გლობალური გენდერული განსხვავების“ შესახებ გამოყოფილია 136 ქვეყანა თავიანთი შესაძლებლობების მიხედვით, იმისათვის რომ აღმოფხვრან გენდერული უთანასწორობა ოთხ სფეროში: ჯანდაცვა, განათლება, პოლიტიკა და ეკონომიკური თანასწორობა. აქედან მხოლოდ ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში არ შეინიშნება წინსვლა. 2013 წელს რეგიონში პირველ ადგილს ისრაელი იკავებს, რაც განაპირობა

პარლამენტში ქალთა რაოდენობის ზრდამ. არაბულ ქვეყნებს შორის კი, გაერთიანებული საამიროები ერთადერთია რეგიონში, რომელმაც სრულად ამოწურა განათლების მიღებასთან დაკავშირებული უთანასწორობა, უფრო მეტიც ზოგიერთ არაბულ ქვეყანაში ქალთა განათლების რაოდენობა უფრო მაღალია ვიდრე მამაკაცების, თუმცა ეს ქვეყნები ნაკლებად ახერხებენ განათლებული ქალების ჩართვას ეკონომიკაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არაბულ ქვეყნებში გენდერული უთანასწორობა ყველაზე მეტია პოლიტიკის სფეროში, ორ მათგანში პარლამენტის წევრებს შორის საერთოდ არ არიან ქალები, სამში კი მდებდრობითი სქესის წარმომადგენელი მინისტრები.

სირიას ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს ეკონომიკური ჩართულობისა და შესაძლებლობის მხრივ. იემენი 136-ე ადგილზეა, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ყველაზე მეტი გენდერული უთანასწორობა ამ ქვეყანაში გვხვდება.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ახლო აღმოსავლეთმა და ჩრდილოეთ აფრიკამ გენდერული უთანასწორობის მხოლოდ 59%-ის ამოვსება მოახერხეს, ეკონომიკურ სფეროში მხოლოდ 39%, ხოლო პოლიტიკურში 7%-ზე ნაკლები.

ზემოთ ხსენებულმა ქვეყნებმა, უნდა იზრუნონ ქალებისთვის თანაბარ ხელმისაწვდომობაზე გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე, ასევე ხელშეწყობას საჭიროებს ის ფაქტიც, რომ ქალებიც მამაკაცების მსგავსად ახერხებდნენ ოჯახის და სამსახურის შეთავსებას.

## **1.1 ქალის ღირსება და უფლებები ისლამში**

მოგეხსენებათ, რომ ქალთა სტატუსის განსაზღვრა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, როგორც სახელმწიფოსთვის ასევე მისი საზოგადოების განვითარებისთვის. მნიშვნელოვანია გენდერული ურთიერთობის ხარისხის წარმოჩენა, ასევე ქალთა უფლებათა სამართლებრივი ფორმულირება, ამა თუ იმ ქვეყნის მენტალიტეტი ქალთან მიმართებაში და საზოგადოებრივი აზრი.

XX საუკუნიდან დაიწყო ქალის საკითხის გააქტიურება, როდესაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაიწყო ქალთა ბრძოლა თანასწორი უფლებების



მოსაპოვებლად (საუბარია ფემინიზმზე). ამ პერიოდიდან მოყოლებული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში შეიქმნა მრავალი ქალთა ორგანიზაცია, რომლებიც ქალთა უფლებების გაფართოებას მოითხოვდნენ და ამასთანავე იქამდე მათთვის არარსებული უფლებების მინიჭებას.

შარიათის და რელიგიური ტრადიციის მიხედვით, ადამიანთა სამ კატეგორიას არ ჰქონდათ ზოგადი რელიგიური და იურიდიული თანასწორობის პრინციპებით სარგებლობის უფლება, ესენი იყვნენ: ქალები, მონები და ურწმუნოები. ამ სამიდან კი ყველაზე ნაკლებად ქალთა ინტერესები იყო დაცული.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მუსლიმური სამყაროს მთელ რიგ ქვეყნებში მიმდინარეობდა ტრადიციული ისლამის რეფორმირების პროცესი, დაიწყო ცვლილებები ტრადიციული ისლამური საზოგადოების სხვადასხვა და მათ შორის კონსერვატულ წრეებში, რისი ძირითადი მიზეზიც გახდა, დასავლეთის გავლენა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობების შექმნა, აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკური ჩამორჩენილობა და ა.შ. ამ მხრივ მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ ირანის ისლამური რესპუბლიკა, რომელსაც გამორჩეული ადგილი უკავია, რადგან არის ძლიერ სახელმწიფო და შიიტური ისლამის სპეციფიკურობის მატარებელი.<sup>1</sup>

რა არის ისლამი? საჭიროა გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ ამ რელიგიის შესახებ და ორიოდ სიტყვით განვმარტოთ მისი მნიშვნელობა, ასევე როგორ მდგომარეობაში იყვნენ ქალები ისლამის დამკვიდრებამდე და მისი დამკვიდრების შემდეგ და რა შეცვალა რელიგიამ ქალთა ცხოვრებაში.

**ისლამი**, მონოთეისტური აბრაამისეული რელიგიაა, მისი რელიგიური სწავლება დაფუძნებულია ყურანზე, რაც ღმერთის პირდაპირ სიტყვას ნიშნავს და სუნნაზე, ღმერთის მიერ რჩეულ მაცნეზე მუჰამედზე და მისი ქცევის მაგალითზე.

ისტორიულად ისლამი წარმოიშვა VII საუკუნეში არაბეთის ნახევარკუნძულზე. ისლამის მიმდევარს ეწოდება მუსლიმი (ასევე მაჰმადიანი, მუსულმანი ან მუსლიმანი). 2009 წლის მონაცემებით, მათი რიცხვი 1.57 მილიარდს აღწევს, რაც მსოფლიოს მოსახლეობის 23%-ს შეადგენს. სიტყვა ისლამი

---

<sup>1</sup> . სანიკიძე, გ. შიიზმი და სახელმწიფო ირანში. თბილისი 2005.

არაბული სიტყვიდან წარმოდგება, სიტყვის ფუძე სამთანხმოვნია ს-ლ-მ, რომლის მნიშვნელობები საკმაოდ ფართოა, მაგ, იგი შეიძლება ნიშნავდეს: მორჩილებას, მშვიდობას, თავისუფლებას და სხვ.

ისლამი, როგორც რელიგია, განსაკუთრებულად იცავს ქალის ყველა უფლებას, მას აყენებს ისეთ ადგილზე, რომლის მიცემაც ქალისთვის არცერთ რელიგიას არ შეუძლია. ყურანის ერთ-ერთ აიათში წერია:

*„...უფლებამოსილება ისეთივეა ცოლების ქმრებისადმი, როგორც ქმრებისა ცოლებისადმი“<sup>2</sup>*

წმინდა შუამავალი მამაკაცებს არიგებდა, რომ დაკნინების ნაცვლად უნდა დაეცვათ თავიანთი ცოლებს ყველა უფლება.

*„გეშინოდეთ ალლაჰის იმასთან დაკავშირებით, რაც მან დაგაკისრათ მათ უფლებებთან მიმართებაში! თქვენ ხომ ისინი (ცოლებად) ალლაჰის შუამდგომლობით მოიყვანეთ“<sup>3</sup>*

ისლამამდელ პერიოდს ლიტერატურაში ეწოდება ჯაჰილია (უმეცრება). ეს არის წარმართობის პერიოდი. ისტორიულად ისლამი იწყება 610 წელს, როდესაც მექაში მუჰამმედმა დაიწყო ქადაგება და მალევე გავრცელდა მახლობელ ქალაქებში.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ მეშვიდე საუკუნემდე, სანამ ისლამი გავრცელდებოდა, მსოფლიოს უმეტეს ნაწილში ქალის სახე და ღირსება საერთოდ დაკარგული იყო, მეტიც ქალის ადამიანურობაშიც კი ეპარებოდათ ეჭვი და მას სატანისეულად მიიჩნევდნენ. ასევე ზედმეტი იყო ზოგადად ქალის მატერიალურ და სულიერ უფლებებზე საუბარი. ქალი იყიდებოდა, როგორც ჩვეულებრივი ნივთი, ჩუქდებოდა ან პატრონს უფლება ჰქონდა გაექირავებინა კიდევ, მას არ ეკითხებოდნენ დაქორწინება განქორწინების შესახებ არაფერს, ერთი სიტყვით ქალი იყო მამაკაცის სრული მონამორჩილი. საყურადღებოა, რომ ამ საკითხში დიდად არ განსხვავდებოდა მსოფლიოს არც ერთი კუთხე და არცერთი იმდროინდელი იმპერიები ერთმანეთისგან.

<sup>2</sup> ყურანი., სურა ბაყარა აიათი., 228.

<sup>3</sup> აჯლუნი, ტომი I, გვ, 36.

ქალის ღირსება იმდენად იყო გაუფასურებული, რომ გოგო შვილის ყოლა, არაბეთის ტერიტორიაზე უდიდეს სირცხვილად ითვლებოდა. ამ სირცხვილისგან თავის დასაღწევად ერთადერთი გზა შვილის საკუთარი ხელით ცოცხლად დამარხვა იყო. ეს ბარბაროსული ქცევა სხვადასხვა მიზეზებით არის ახსნილი: „არაბი ბედუინებისთვის გოგონას დაბადება მძიმე ტვირთი იყო, რადგანაც ის უნდა გამოეკვებათ და ის ვერასოდეს ვერ გახდებოდა მეომარი“.<sup>4</sup> ქალი არ წარმოადგენდა სამხედრო ღირებულებას, მისი მთავარი დანიშნულება იყო დედობა. ყურანში არის მოწოდება „არ დახოცოთ შვილები სიღარიბის შიშით“. მეორე ძირითადი მოტივი იყო - სირცხვილის შიში, მშობლებს ეშინოდათ, რომ მათი გოგონები ტყვედ არ წაეყვანათ, რაც მთელი ტომის სირცხვილად ითვლებოდა.

ყურანის ცნობილი კომენტატორის აზ-ზამახშარის თანახმად, ხშირად გოგონებს ზრდიდნენ 6 წლამდე, შემდეგ ისინი მამებს მიჰყავდათ შორს, უდაბნოში და იქ მარხავდნენ ორმოში. მექის ახლოს მდებარეობს მთა - აბუ დულამა, სადაც კურაიშის ტომის წევრები თავიანთ ახალშობილ გოგონებს ცოცხლად მარხავდნენ. მრავალი მუსლიმი მწერალი მოგვითხრობს სევდიან ისტორიებს ამ შემთხვევების შესახებ. მსგავსი ტრადიცია მუჰამედის დროსაც არსებობდა და ის 5-ჯერ არის მოხსენიებული ყურანში. მუჰამედმა ეს წესი აკრძალა 630 წელს, მექის აღების დღეს მან მუსლიმებს ფიცი დაადებინა, რომლის ერთ-ერთი პუნქტი ასეთი იყო: „არ დახოცოთ ბავშვები“, ეს იყო მნიშვნელოვანი ცვლილება ქალის სტატუსთან დაკავშირებით.

ქალმა და „გოგოშვილმა“ სწორედ ისლამის გავრცელების შემდეგ, დროთა განმავლობაში დაიბრუნეს საკუთარი ღირსება და როლი, ეს რელიგია მათთვის ერთგვარი ხსნა იყო, რამაც ასე თუ ისე შეაჩერა მათკენ მიმართული ყოველგვარი ჩაგვრა და დისკრიმინაცია. მაგალითისვის მოვიშველიოთ ციტატა, მუჰამედ შუამავალი ამბობს:

***„ ვინც ორ გოგოშვილს ნამუსიერად აღზრდის, საიქიოში მე და ის გვერდი გვერდ ვიქნებით“.***

---

<sup>4</sup> გელოვანი. ნ., ქალი ისლამში., გამომც., „უნივერსალი“, გვ. 13.

ასევე შუამავალი ბრძანებს: „*ქალი თუ კაცი ყველა ადამიანი ღმერთის წინაშე სავარცხლის კბილებით თანაბარნი არიანო*“.

ყურანში „ქალები“ს სახელის სურაც კია მოცემული, რომელიც შედგება 176 აიათისაგან ამ სურას „ნისა“ (ქალები) ეწოდება. ერთ-ერთს სურა წმინდა მარიამის სახელს ატარებს. ისლამში ქალი თანასწორუფლებიანია ქმრის წინაშე და მის სამსახურში, ცოლს ევალება მისთვის ლოცვა, მარხვა და ა.შ, ისლამში ქალს უფლება აქვს ჰქონდეს საკუთარი ქონება, ეწოდეს კომერციულ საქმიანობას, ასევე მსახურობდეს ჯარში საჭიროებიდან გამომდინარე. ყოველივე ეს უფლება 14 საუკუნის წინ მუჰამედ შუამავლის სიცოცხლეში მიიღო ქალმა. ასევე ქალს მიეცა უფლება, რომ აირჩიოს თავის სურვილით მეუღლე, შესაბამისად მშობელს არ აქვს უფლება უხეშად ძალდატანებით ჩაერიოს ამ საქმეში.

რაც შეეხება განათლებას, ისლამის მიხედვით ქალს ისევე, როგორც მამაკაცს აქვს სრული უფლება მიიღოს განათლება, მუჰამედი ბრძანებს:

*„მორწმუნე კაცისა და ქალისათვის მეცნიერების შესწავლა სავალდებულოა“*

*„განა ბრძენი და უმეცარნი თანასწორნი არიან?“<sup>5</sup>*

*„ისწავლეთ და ეძებეთ ცოდნა აკვნიდან სამარემდე.“<sup>6</sup>*

ამიტომ ნებისმიერმა ქალმა, ისევე, როგორც ნებისმიერმა მამაკაცმა, საჭიროა, იცოდეს ის, რასაც რელიგია ბრძანებს და, რასაც ის კრძალავს, აგრეთვე ამ აკრძალულისგან თავი შორს უნდა დაიჭიროს:

*„ო, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! დაიფარეთ თქვენი თავი და თქვენი ოჯახები ცეცხლისგან“.<sup>7</sup>*

აგრეთვე ქალის მთავარი ფუნქცია ოჯახში არის ის, რომ შვილები კარგად აღზარდოს. შესაბამისად, ქალი, რომელსაც მსგავსი როლი აკისრია ოჯახში, პირველ რიგში თვითონ უნდა იყოს განათლებული, რომ შვილებსაც შესაბამისი აღზრდა - განათლება და ქცევები შეძინოს.

ისლამი, ასევე ითვალისწინებს იმას, რომ ქალი ფიზიკურად სუსტი არსებია , ამიტომ კრძალავს მის ისეთ სამუშაოზე დასაქმებას, რომელიც ზიანს მოუტანს

<sup>5</sup> სურა, ზუმერი, აიათი 9.

<sup>6</sup> აჯლუნი, ბირრი, გვ. 138.

<sup>7</sup> სურა თაჰრიმი, აიათი 6.

მას, ასევე მაღალ საფეხურზე აყენებს ქალს, როგორც დედას და ითვლება, რომ „სამოთხე დედათა ფეხთქვეშა“, რაც გულისხმობს იმას, რომ სამოთხეში მოხვდება მხოლოდ ის ვინც დედის ფასი და პატივისცემა იცის, აქედან გამომდინარე, ქალის ღირსებათა შორის ერთ-ერთი მთავარი პატივი დედობაა, ისლამი, რომელიც ქალს, როგორც პოტენციურ დედას ისე განიხილავს და მას საპატიო და მნიშვნელოვან ადგილზე აყენებს.

წმინდა ყურანის ყველა აიათში, სადაც ნაბრძანებია მშობლების მიმართ მორჩილება, პირველ რიგში დედაა მოხსენიებული, ეს ნიშნავს იმას, რომ დედა მეტი პატივისცემის ღირსია, ვიდრე მამა!

რთხელ ალლაჰის შუამავალს ჰკითხეს:

*„ადამიანებიდან ყველაზე მეტად ვინაა იმის ღირსი, რომ პატივი ვცე და მოვუსმინო?“ – „დედაშენი!“ – უპასუხა მას ალლაჰის წმინდა შუამავალმა. „მის შემდეგ?“ – იკითხა ისევ იმ კაცმა. „დედაშენი“ – მიიღო ისევ პასუხად. „მის შემდეგ ვინ არის ასეთი?“ – აგრძელებდა შეკითხვებს მოსული. „დედაშენი“ – იმეორებდა ალლაჰის წმინდა შუამავალი. „დედის შემდეგ ვინ არის?“ – შეცვალა კითხვის ტექსტი მოსულმა. „მამაშენი“ – უპასუხა. აქედან ჩანს, რომ ბავშვის აღზრდაში დედის როლი სამჯერ უფრო დიდია, ვიდრე მამის.<sup>8</sup>*

მიუხედავად იმისა, რომ ისლამი იცავს ქალის ყველა უფლებას, ღირსებით მამაკაცები ქალებზე მაღლა დგანან. მამაკაცები ვალდებული არიან დაიცვან ქალები და არ დააკნინონ ისინი. დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ქალიც ისევე უნდა დაისაჯოს, როგორც მამაკაცი, ხოლო თუ კეთილი საქმე ჩაიდინა ჯილდოს იმსახურებს.

მოკლედ, რომ ვთქვათ, ისლამი არის შემწყნარებელი რელიგია, რომელიც მის მიმდევრებს თანასწორუფლებიანებად წარმოაჩენს და იგი ერთგვარი სწავლებაცაა, როგორც ზნეობრივ ისე მორალური ქმედებების შესახებ და გადმოცემულია, როგორც მამაკაცის ასევე ქალის უფლებები და მოვალეობები.

ახლა კი განვიხილოთ, ჯდება თუ არა თანამედროვეობა და 14 საუკუნის წინ მიღებული რელიგიური უფლებები და შეხედულებები თანაბარ კონტექსტში

---

<sup>8</sup> იბრაჰიმ ჯანან, ქუთუბი სითთე, თარგმნა და განმარტება, ტომი II, გვ. 484.

ერთმანეთთან და როგორია ქალის რეალური მდგომარეობა ისლამურ სახელმწიფოებში დღეს?

ავიღოთ მაგალითი ყურანიდან:

„ქმრები მეურვეები არიან ცოლების იმ ვითარების გამო, რომლითაც ალლაჰმა უპირატესყო ერთი - მეორისგან, რადგან ხარჯავენ თავიანთი ქონებიდან. ხოლო პატიოსანი ქალები, მორჩილნი (ერთგულნი) არიან თავიანთი ქმრების და ქმრების არყოფნის დროს ისე იცავენ იმათ უფლებებს, როგორც ალლაჰმა დაუწესათ. და რომელთა ურჩობასაც შიშობდეთ, იმ ქალებს შეაგონეთ, მერე მიატოვეთ სარეცელში და მსუბუქი ცემა აგემეთ.“<sup>9</sup>

ეს ერთი სურაც საკმარისია, იმის უარსაყოფად, რომ ისლამი შესაბამისად არ იცავს ქალებს, მათ უფლებებს და რაც მთავარია ღირსებას ღირსებას.

უფრო მეტიც, 2010 წლიდან საუდის არაბეთში გამოჩნდა წიგნები, რომელთაც ისლამური ეტიკეტი აქვთ. ამ წიგნების ავტორები გვიხსნიან, თუ როგორი ცოლი იმსახურებს ცემას, რით უნდა ვცემოთ ისინი, რაზე უნდა ველაპარაკოთ მათ ცემის დროს და სად უნდა მივაყენოთ მათ დარტყმები.

ქალზე ძალადობა, ისევე, როგორც ნებისმიერი სახის სხვა ძალადობა, არის დანაშაული და ისჯება შესაბამისი კანონით, თუმცა რაღაც დოზით მაინც გვხვდება მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში და საზოგადოებებში, თუმცა ყველგან ერთმნიშვნელოვნად გამობენ., ისლამში კი რელიგიურად დაკანონებული და დაშვებული ქმედებაა. განვიხილოთ მაგალითი. 18 წლის ავღანელი გოგონა სახელად ბიბი აიშა დასაჯეს ოჯახიდან გაქცევის მცდელობისთვის, რადგან მას ქმარი სცემდა და აიძულებდა მძიმე ფიზიკურ მუშაობას. ისლამური სასამართლოს გადაწყვეტილებით ქალს მოაჭრეს ყურები და ცხვირი.

განვიხილოთ მეორე მაგალითიც: 13 წლის სომალელი გოგონა, რომელსაც ასევე აიშა ერქვა, 2008 წელს ათასობით მუსლიმის თანდასწრებით კისრამდე ჩამარხეს მიწაში და 50-მდე მამაკცმა ჩაქოლა ქვებით. მას ბრალს მრუმობაში სდებდნენ. მრუმობად კი ის ჩაუთვალეს, რომ გოგონა სამმა მამაკცმა გააუპატიურა.

---

<sup>9</sup> ყურანი., სურა 4:34.

ისლამი ნებას რთავს ბავშვზე ქორწინებისაც. ყოველდღიურად ისლამურ სამყაროში 30 ათასზე მეტი ბავშვი გოგონა ქორწინდება უფროს კაცზე.

მუსლიმი ქალების სენსაციად ქცეული ჩაგვრა, მთელი მსოფლიოს ყურადღება ავლანეთმა მიიპყრო. ამერიკული გაზეთები რეგულარულად აშუქებდნენ ავღანელი ქალების პრობლემებს. აღსანიშნავია, რომ ქვეყანა პროგრესულად მიდიოდა წინ, განსაკუთრებით ქალთა როლი იყო გაძლიერებული, თუმცა სამოქალაქო ომმა საგრძნობლად დაწია უკან ეს განვითარება. ასეულობით ათასი ავღანელი ქალი იძულებული გახდა, დაეტოვებინა სამშობლო, სამხედრო მოქმედებების შედეგად, ბევრი მათგანი დაიჭრა, დაიღუპა და დაქვრივდა.

ქვეყანაში გენდერული თანასწორობის, უკანასკნელი და ყველაზე ძლიერი დარტყმა, ხელისუფლებაში თალიბების მოსვლამ მიაყენა. 1994 წელს თალიბებმა ყანდალარი შემდეგ კი 1996 წელს ქაბული აიღეს. ავღანელ ქალებს აეკრძალათ მუშაობა, დაიხურა გოგონათა ყველა სკოლა, ქალებს ჩამოერთვათ ყველა უფლება, რომლის მისაღწევადაც ათწლეულების განმავლობაში იბრძოდნენ. აეკრძალათ უნებართვოდ სახლიდან გასვლა, ასევე აკრძალვები აისახა მათ ჩაცმულობაზეც. უამრავი ქალი დაატუსაღეს, აწამეს და სიკვდილით დასაჯეს, მათ თალიბი პოლიციელები ხშირად მხოლოდ იმის გამო უსწორდებოდნენ ფიზიკურად, რომ კოჭი ან მაჯა უჩანდათ. დროთა განმავლობაში ეს თალიბური კანონები უფრო მეტად ძლიერდებოდა და უფრო სასტიკ სახეს იძენდა. თალიბებმა ქვეყანას მძიმე დაღი დაასვეს, მისი კვალი დღემდე თვალსაჩინოა.

დღეს საერთაშორისო ორგანიზაციების ცნობით, ავღანეთი ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის ერთ-ერთ მთავარ ცენტრად რჩება. ასევე, ეს ქვეყანა იშვიათი გამონაკლისია, სადაც ქალების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 44 წელია.

ამჟამად, ქვეყანაში ქალთა უფლებებისთვის ბრძოლის კერა თითქმის არ არსებობს, ათასობით გოგონა დადის სკოლაში, ხოლო ქალებისთვის პარლამენტში ადგილების მხოლოდ 20 %-ია განკუთვნილი. ქალებმა ისევ დაიწყეს

მუშაობა შეიარაღებულ ძალებში, თუმცა ქალთა უფლებების დაცვის მხრივ ქვეყანა მაინ ჩამორჩენილია, წინა საუკუნესთან შედარებით.

აგრეთვე, ყურადღების ცენტრშია ბანგლადეში, რომელიც ცნობილია ქალების სახეში მჟავის შესხმის ინციდენტებით. განსაკუთრებით ამერიკული დოკუმენტური ფილმით „იმედის სახეები“. საკითხით დაინტერესდა და საფუძვლიანადაც შეისწავლა ელორა ჩოუდორი, რომელმაც აღმოაჩინა, რომ მჟავით ძალადობის საკითხი წლების განმავლობაში იყო მიბმული ბანგლადეშელი ფემინისტების ადგილობრივ კამპანიებზე, რომლებმაც შექმნეს ორგანიზაციები და მსხვეროლს დახმარებას უწევდნენ.

ამრიგად, ეპოქაში, სადაც მსოფლიოს განვითარებული სახელმწიფოები იბრძვიან დემოკრატიული პრინციპების გასაძლიერებლად, არსებობს ცალკეული ქვეყნები, სადაც განვითარება ამ კუთხით მნიშვნელოვნად დაბალია, მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმი აპოლოგები იდეალურ დამოკიდებულებას გვიხატავენ ქალებისადმი ისლამში, ვფიქრობ, რომ ეს მხოლოდ სიმართლის დაფარვის მცდელობაა და არაფერი აქვს საერთო რეალობასთან. რეალობა არის შემდეგი: ყურანი ნებას რთავს ქმარს, რომ სცემოს ცოლი! ასევე ისლამში კაცი ქალზე აღმატებულია, როგორც უფლებრივად ასევე მორალურადაც.

## **1.2. ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხი ირანში, 1979 წლის რევოლუციამდე და შემდეგ**

1978-79 წლებში, ირანში პოლიტიკური რევოლუციისთვის თითქმის ყველა წინაპირობა არსებობდა: მოსახლეობის სოციალური სიდუხჭირე, რეპრესიული აპარატის შესუსტება, რჟიმისადმი კულტურული წინააღმდეგობა, შეკრების



თავისუფლება. ზემოთ აღნიშნული წლები, წარმოადგენს შაჰი მოჰამდე რეზა ფეჰლევის მმართველობის ბოლო პერიოდს, საყურადღებოა, რომ იგი 37 წლის განმავლობაში მართავდა ირანს. აშშ-სა და ბრიტანეთის აქტიური დახმარებით, იგი ცდილობდა, ტრადიციული ირანი თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოდ გადაექცია. თუმცა ქვეყნის რეფორმირება არადემოკრატიული დაადამიანის უფლებების შემლახავი გზით მიმდინარეობდა. შაჰმა ქალებს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება მისცა, ასევე სახელმწიფო მართვის სტრუქტურები სეკულარიზმის პრინციპებზე დაამყარა. ამასთანავე, შაჰი არ ინდობდა პოლიტიკურ ოპონენტებს, მეტიც არაერთი მათგანი მან სიკვდილით დასაჯა. იგი ასევე, ხშირად მიმართავდა სახელმწიფო ცენზურის აპარატებს, რაც სიტყვის თავისუფლებას ასუსტებდა. ფეჰლევის მმართველობის პერიოდში ხშირად იზღუდებოდა მანიფესტაციების და შეკრებების თავისუფლება, ხშირ შემთხვევაში მსგავსი შეკრებები და მიტინგები, სისხლიანი დარბევით სრულდებოდა.

დროთა განმავლობაში, შაჰის ძირითად მოტივად და საზრუნავად საკუთარი ოჯახის წევრების და ახლობლების უსაფრთხოება და კეთილდღეობა იქცა. ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური მდგომარეობის ფონზე, ფეჰლევი და მისი გარემოცვა ფუფუნებისადმი უზომო მიდრეკილებით გამოირჩეოდა, მაგალითისთვის, სპარსეთის იმპერიის 2 500 წლის იუბილისადმი მიძღვნილი გრანდიოზული ზეიმი ავიღოთ, რომელზეც, დაახლ. \$30 მილიონი დოლარი დაიხარჯა, აღნიშნული ზეიმი თავისი დროისთვის ყველაზე ძვირადღირებული ღონისძიება იყო.

მოსახლეობის უდიდესი ნაწილის გარდა შაჰის მმართველობით უკმაყოფილებას რელიგიური წრეებიც გამოთქვამდნენ, რადგან წლების მანძილზე გატარებული რეფორმები, თანდათან მცირდებოდაა სასულიერო პირების საზოგადოებრივი როლი და მათი გავლენა მოსახლეობაზე. ქვეყნის დაჩქარებულმა მოდერნიზაციამ, ტრადიციული ისლამისაგან დაშორებულმა ცხოვრების და მართვის სტილმა ირანში, რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლები უმთავრესად შიიტური ისლამის დროშის ქვეშ გააერთიანა.

უთანხმოება სასულიერო პირებსა და შაჰს შორის წლების მანძილზე გრძელდებოდა და დაპირისპირების ერთ-ერთი გარდამტეხი მომენტი ახალგაზრდა სასულიერო პირის აიათოლა ხომეინის, მისი დაკავების ძირითადი მიზეზი გახლდათ, ფეჰლევის პროდასავლური რეჟიმის კრიტიკა, რის გამოც აიათოლა, ჯერ თურქეთში შემდეგ კი ერაყში გადაასახლეს. ხომეინის დაკავება იქცა, მისი პოლიტიკური გზის დასაწყისად. ამ ვითარებამ, მას ნაციონალური გამირისა და ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პირის სტატუსი მოუტანა.

სასულიერო პირების გარდა, შაჰის მძლავრ ოპოზიციას ირანის უნივერსიტეტების სტუდენტები იყვნენ. ფეჰლევის საწინააღმდეგოდ თითქმის ყოველ დღე ეწყობოდა საპროტესტო აქციები, თუმცა ამავდროულად მოსახლეობა სულ უფრო მეტად ექცეოდა სასულიერო პირების გავლენის ქვეშ.

შაჰის რეჟიმის დასასრული 1978 წლის 7 იანვარს დაიწყო, ქალაქ ყუმში. ამ დღეს რელიგიური პირების მიერ მოწყობილ მიტინგს 7 დემონსტრანტის სიცოცხლე ემსხვერპლა. ამ დღის მერე მოხდა მთელი ირანის ერთგვარი გაერთიანება და მთელი ქვეყანა მიტინგებმა და აქციებმა მოიცვა. მაგნიტოფონის კასეტების მეშვეობით მოსახლეობამ ვრცელდებოდა სასულიერო პირების ქადაგებები და მიმართვები, ასევე ხომეინის მიმართვები მეჩეთიდან მეჩეთში გადადიოდა. სწორედ მეჩეთია ადგილი, რომელიც შაჰის რეჟიმის უკმაყოფილო მოქალაქეების თავშესაფარი გახდა.

1978 წლის 6 ოქტომბერს შაჰის ბრძანებით აიათოლა ხომეინს ერაყიდან აძევებენ. ხომეინი იმავე დღეს საფრანგეთში მიემგზავრება, შაჰი ფიქრობდა, რომ ხომეინი მოვლენების ეპიცენტრიდან მოაშორა, თუმცა აიათოლას საფრანგეთში ყოფნა უფრო საშიში აღმოჩნდა, რადგან მას საფრანგეთის დედაქალაქში პროტესტის სამართავად საჭირო თავისუფლება ჰქონდა.

58 წლის ასაკში, ფეჰლევმა, მედიასთან განაცხადა, რომ ტახტისთვის ბრძოლას აღარ აპირებდა, მას არათუ პოლიტიკური არამედ ცხოვრების გაგრძელების იმედიც აღარ შერჩენოდა, რადგან დაავადებული იყო კიბოს უიშვიათესი ფორმით. ცოტა ხანში იგი ქვეყანას ტოვებს საკუთარ ოჯახთან ერთად, და უკან აღარ ბრუნდება.

შაჰის გაფრენიდან ორ კვირაში 14 წლიანი გადასახლების შემდეგ სამშობლოში ბრუნდება, რევოლუციის მთავარი შემომედი, უმაღლეს ლიდერად წოდებული აიათოლა ხომეინი, ახალი სახელმწიფო იდებით.

*„1979 წლის 1 თებერვალს, 9:30 წუთზე მეჰრაბადის აეროპორტში Air France-ის კუთვნილი Boeing-747 დაეშვა. ბორტზე ეკიპაჟის გარდა, 10 მგზავრი და რამდენიმე ჟურნალისტი იმყოფებოდა. ამ ბორტზე მყოფ ერთ-ერთ ადამიანს აეროპორტთან, დაახლოებით, 10 მილიონი ირანელი ელოდა. 14-წლიანი გადასახლებიდან სამშობლოში აიათოლა რუჰოლა ხომეინი ბრუნდებოდა. „არაფერს“— ასე უპასუხა ხომეინიმ ერთ-ერთ ჟურნალისტს კითხვაზე, რას გრძნობდა იგი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ. დაახლოებით, ათი მილიონი ადამიანი ესალმებოდა მოხუც, ჭაღარაწვერიან კაცს, რომელმაც 2 500 წლიანი მონარქია დაასრულა და ქვეყნის ცხოვრება სამუდამოდ შეცვალა.“<sup>10</sup>*

1979 წელს გამოსცეს დოქტრინა, რომელიც სასულიერო პირებს სახელმწიფო კონტროლის და მართვის ყველა ბერკეტს გადასცემს, ისლამური სახელმწიფოს გარდაქმნის საკითხს, მოსახლეობის აბსოლიტურმა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი. მომდევნო წლებში სიყუაცია რადიკალურად შეიცვალა, ირანი კონსერვატიულმა ცვლილებებმა მოიცვა. ქალებისთვის სავალდებულო გახდა ჰიჯაბის ტარება, აიკრძალა დასავლური კულტურის ნიმუში, დაიხურა სეკულარული გამოცემები, აიკრძალა მოწინააღმდეგე პოლიტიკური პარტიები და დაწესდა ცენზურა.

2019 წლის პირველ თებერვალს, ირანის ისლამური რევოლუციიდან 40 წელი გავიდა. ყოველწლიურად ამ დღეს ქვეყანა და მისი მოსახლეობა 10 დღის განმავლობაში ზეიმობს. ამ დღესთან დაკავშირებით ალევლინება საზეიმო ლოცვები, მოქალაქეები იკრიბებიან ცენტრალურ მოედნებზე და იხსენებენ რევოლუციას. პირველ თებერვალს, ისევე როგორც 40 წლის წინ, ზეიმის მთავარ ფიგურას აიათოლა ხომეინი წარმოადგენს, ადამიანი, რომელმაც ქვეყანა „დღეგრძელი“ მონარქიისგან იხსნა და ხელისუფლება ისლამის იურისტებს სრულიად დაუქვემდებარა.

<sup>10</sup> <https://on.ge/story/33390> ზარქუა. ა. სტატია., როგორ გადაიქცა სეკულარული ირანი ისლამურ თეოკრატიად — ირანის ისლამური რევოლუცია.

ამრიგად, 1979 წლის ისლამურმა რევოლუციამ რადიკალურადად შეცვალა ირანელი ხალხის განსაკუთრებით ქალთა ცხოვრება, შეზღუდეს მათი უფლებები და მათ შორის ჩაცმულობის თავისუფლება.

ირანის კონსტიტუციური მონარქია, გადაიქცა ისლამურ სახალხო თეოკრატიულ რესპუბლიკად. რევოლუცია ორ ეტაპად განხორციელდა: პირველ ეტაპზე ლიბერალთა, მემარცხენეთა და რელიგიურ ჯგუფთა ალიანსმა შაჰის მმართველობა ჩამოაგდო; მეორე ეტაპზე, რომელსაც ისლამური რევოლუცია ეწოდა, აიათოლა ხომეინი მოვიდა სათავეში, შემდგომ კი ისლამური კულტურული რევოლუცია განხორციელდა.

ისლამურ რევოლუციამდე ირანი სრულიად განსხვავებული ქვეყანა იყო, განსხვავებით იმისგან რაც დღეს არის. იგი იყო დასავლეთზე ორიენტირებული და კულტურული თავისუფლების მქონე ქვეყანა. შეიძლება დაუჯერებლად კი ჟღერდეს ის გარემოება, რომ მაშინ ქალები თანამედროვე მოდის ტენდენციებს მიჰყვებოდნენ, მათ შეეძლოთ როგორც კაბების ისე შარვლების ჩაცმა და სამოსიდან კანის გამოჩენაც კი.

1977 წელს თეირანის უნივერსიტეტში ბევრი ქალი სწავლობდა, ასევე ქალების დიდ ნაწილს უკვე მიღებული ჰქონდა უმაღლესი განათლება მიღებული, ამის მიზეზი მაშინდელი ხელისუფლება იყო, რომელმაც შეძლო ოჯახების დარწმუნება, რომ შვილები სასწავლებლად გაეშვათ.

როგორც უკვე ვახსენე, რევოლუციამდე ქალები დასავლური სტილის ტანისსამოსს ანიჭებდნენ უპირატესობას და თამამად ატარებდნენ, ტანზე მომდგარ შარვლებს, მოკლე კაბებსა და ტოპებს. რევოლუციის მოსვლის შემდეგ, აიათოლა ხომეინიმ დაადგინა, რომ მიუხედავად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, ყველა ქალი ვალდებულია, რომ ატაროს თავსაბურავი. რასაც იმავე წლის 8 მარტს მოჰყვა ქალების მხრიდან პროტესტი.

აღმოჩნდა, რომ რელიგიური ფუნდამენტალისტების მიერ ჩამოყალიბებული რეჟიმი გაცილებით უფრო სასტიკი და სისხლიანი აღმოჩნდა, ვიდრე მონარქია, რომელიც აბსოლიტური ძალაუფლებით იყო აღჭურვილი.

## თავი II

### 2. ძალადობა ისლამის სახელით და ინტერპრეტაციის მნიშვნელობა

თემის სათაურიდან გამომდინარე, პირველი, რაც ისლამურ და ზოგადად მუსლიმების მხრიდან ძალადობაზე გვახსენდება ტერორიზმია, რომლის გლობალური საფრთხე, არაპროგნოზირებადი და მზარდია. გლობალური ტერორისტული საფრთხის ყველაზე მკაფიო გამოვლინება ე. წ „ისლამური სახელმწიფო“. თუმცა ამით არ მცირდება სხვა ტერორისტული დაჯგუფებებიდან

(„თალიბანი“, „ალ-ქაიდა“ და სხვ.) ასოცირებული საფრთხეები. აგრეთვე აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენები უარყოფითად აისახება კავკასიის რეგიონზეც.

ისლამი მშვიდობის რელიგიაა თუ ტერორიზმი?

ტერორიზმი პოლიტიკური ძალადობის ფორმას წარმოადგენს, რომელიც საზოგადოებაში შიშის და უნდობლობის დათესვით ცდილობს, გავლენა მოახდინოს სახელმწიფოზე ან საერთაშორისო თანამეგობრობაზე. ალბათ ხშირად გსმენიათ მუსლიმი ადამიანებისგან, რომ ისლამი სიყვარულის და მშვიდობისმოყვარე რელიგიაა, თუმცა რეალობა სულ სხვაა, უმთავრესი რასაც ისლამი (ყურანი) არ სცემს პატივს, არის აღმსარებლობის თავისუფლება, აგრეთვე ის პატივს არ სცემს სხვა რელიგიებს. ისლამი არის ერთადერთი რელიგია, რომელიც ქადაგებს სხვა აღმსარებლობის და მრწამსი ადამიანების ფიზიკურ განადგურებას. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ: *„ებრძოლეთ იმათ, ვისაც არ სწამს ალლაჰი და დღე უკანასკნელი. არ იკრძალავენ იმას, რაც აკრძალა ალლაჰმა და მისმა მოციქულმა და არ აღიარებენ სჯულს ჭეშმარიტებისას.“<sup>11</sup>*

*„და თუ შეხვდებით იმათ, ვინც არ ირწმუნა, დასცხეთ (ხმლით) კისერში, ვიდრე სრულიად მოსრავდეთ.“<sup>12</sup>*

*„ხოლო რომელთაც უარჰყვეს, დაე განადგურება მათ!“<sup>13</sup>*

*„მოჰკალით ისინი, სადაც წააწყდეთ მათ!“<sup>14</sup>*

მსგავსი შინაარსის უამრავი აიათია ყურანში. მუსლიმები ამ ძალადობას, იმით ხსნიან, რომ ეს ომის პროცესზეა ნათქვამი. მიუხედავად მსგავსი გამართლებებისა, რთული არ არის იმის მიხვედრა, რომ ეს აიათები თავდაცვას კი არა თავდასხმას და პირდაპირ მოწოდებას გულისხმობს იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც სხვა აღმსარებლობის არიან.

ასევე საინტერესო აზრი დევს ერთ ერთ აიათში: დახოცეთ ყველა, ვინც არ მიიღებს ისლამს, ვიდრე მთელი დედამიწა არ გამუსლიმდება.

---

<sup>11</sup> ყურანი., სურა (9:29).

<sup>12</sup> ყურანი., სურა (47:4).

<sup>13</sup> ყურანი., სურა (47:8).

<sup>14</sup> ყურანი.,სურა (2:191).

*„და ებრძოლეთ მათ, ვიდრე აღმოიფხვრებოდეს საცდური, და დარჩებოდეს რწმენა ალლაჰისა!“<sup>15</sup>*

სწორედ ამ და მსგავსს აიათებს ეფუძვნება ჯიჰადი, ისლამის მიმდევარი უთუოდ სამოთხეში მოხვდება, თუ ის გახდება შაჰიდი, ანუ თვითმკვლელი ტერორისტი.

*დაე იბრძოლონ ალლაჰის გზაზე იმათ, რომელნიც ამქვენიური ცხოვრებით იმქვენიური ცხოვრებას ჰყიდულობენ. და ვინც იბრძოლოს ალლაჰის გზაზე, და შემდეგ დაიღუპოს (დაეცეს) ან გაიმარჯვოს, სულ მალე ჩვენ მას ვუბოძებთ უდიდეს საზღაურს!<sup>16</sup>*

*„ხოლო როცა გაივლის ნაკრძალი თვეები, დახოცეთ წარმართები, სადაც წააწყდებით, აიყვანეთ ეგენი, ალყაში მოაქციეთ და ჩაუსაფრდით ყველა საფარში. მაგრამ თუ მოტრიალდნენ და აღავლინეს ლოცვა და ზექათი გაიღეს, მაშ, გზა გაუხსენით მათ. უეჭველად, ალლაჰი შემნდობელია, მწყალობელია!“<sup>17</sup>*

*„ჰეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ, იუდეველნი და ქრისტიანნი არ აიყვანოთ მეგობრებად! ისინი მხოლოდ ერთმანეთის მეგობრები არიან. და რომელი თქვენგანიც გადაიხრება მათკენ, უეჭველად ის იმათგანია. უეჭველად, ალლაჰი ჭეშმარიტ გზას არ დაადგენს ცოდვილ ხალხს!“<sup>18</sup>*

სწორედ ეს აიათებია, რომლებიც ქადაგებენ ტერორიზმს, როგორც ჩანს ამ რელიგიაში კაცთმოყვარეობა, განსაკუთრებით სხვა რელიგიის წარმომადგენელთა მიმართ ნულის ტოლია. ყველა რელიგია პარალელურად იდეოლოგიაცაა, ამ შემთხვევაში ისლამი დამპყრობლური იდეოლოგია გამოდის. იგი დასაბამიდან დღემდე ძალადობის გზით ვრცელდება, ის ვინც უარს იტყოდა ისლამის მიღებაზე კლავდნენ, ვინც აკრიტიკებდა ისლამს იმასაც კლავდნენ.

ყურანში წერია არ მოკლა ადამიანიო, თუმცა იგულისხმება მხოლოდ ის ვინც მორწმუნეა, მორწმუნეებში კი მუსლიმი იგულისხმება. მაგალითისთვის ისევ ყურანიდან ავიღოთ ციტატები:

---

<sup>15</sup> ყურანი სურა (2: 189)

<sup>16</sup> ყურანი სურა (4:79)

<sup>17</sup> ყურანი., სურა (9:5).

<sup>18</sup> ყურანი., სურა (5:51).

*„მუსლიმებმა არ უნდა იმეგობრონ ურჯულოებთან.“<sup>19</sup>*

*„სხვა რელიგია, გარდა ისლამისა - მიუღებელია.“<sup>20</sup>*

*„დააზიანეთ და ჯვარს აცვით ურჯულოები, რომელნიც გააკრიტიკებენ ისლამს.“<sup>21</sup>*

*„დააზინეთ და თავი მოჰკვეთეთ იმათ, ვისაც სწამს სხვა წმინდა წერილის, გარდა ყურანისა.“<sup>22</sup>*

*„მუსლიმებმა უნდა გააერთიანონ ყველა იარაღი, რომ დააზინონ ურჯულოები“<sup>23</sup>*

*„ურწმუნოები სულელები არიან, წააქეზეთ მუსლიმები, რომ ებრძოლონ მათ.“<sup>24</sup>*

*„როცა საშუალება მოგეცემათ, მოკალით ურჯულოები, სადაც არ უნდა დაიჭიროთ.“<sup>25</sup>*

*„აწარმოეთ ომი ურჯულოებთან, რომელნიც თქვენ მეზობლად ცხოვრობენ.“<sup>26</sup>*

*„დასაჯე ურწმუნო ცეცხლოვანი ტანსაცმლით, მრუდე რკინის წნელით, ადუღებულ წყლით, დაადნეთ მათი კანი და მუცლები.“<sup>27</sup>*

*„არ მოისურვოთ მშვიდობა ურჯულოებთან, თავი მოჰკვეთეთ მათ, როცა დაიჭერთ.“<sup>28</sup>*

ყურანის მაგალითებიდან გადავიდეთ რეალურ ცხოვრებაში და მსოფლიოში მომხდარ ტერორისტულ აქტებზე. დავიწყოთ მოსაზრებით, რომ „ყველა მუსლიმი არ არის ტერორისტი, მაგრამ ყველა ტერორისტი მუსლიმია“, მსგავს მოსაზრებას აუცილებლად მოყვება კომენტარი, „მაშინ რატომ ვერ ვხედავთ ქრისტიან, ბუდისტ ან ებრაელ ტერორისტებს?“ ეს საკითხი საკმაოდ

---

<sup>19</sup> ყურანი., 3:28.

<sup>20</sup> ყურანი 3:85

<sup>21</sup> ყურანი 5:33

<sup>22</sup> ყურანი 8:12

<sup>23</sup> ყურანი 8:60.

<sup>24</sup> ყურანი 8:65.

<sup>25</sup> ყურანი 9:5.

<sup>26</sup> ყურანი 9:123.

<sup>27</sup> ყურანი 22:19.

<sup>28</sup> ყურანი 47:4.



კომპლექსურია. დავიწყოთ იმით, რომ 2013 წელს განხორციელდა 9 707 ტერორისტული აქტი, რომლის დროსაც 17 800 ადამიანი დაიღუპა, 32 ათასი კი დაშავდა. გარდა ამისა გატაცებულ და მძევლად აყვანილთა რაოდენობა 2 990-ზე მეტს შეადგენს. აღნიშნულ წელს დაახლ. 93 ქვეყანაში განხორციელდა ტერორისტული აქტი, თუმცა ტერაქტების და ტერაქტით დაშავებულ ადამიანთა ყველაზე მაღალი რიცხვი, ავღანეთში, პაკისტანსა და ერაყში დაფიქსირდა.

მაგ; „2006 წლის 11 ივლისი, ინდოეთი: მუსლიმი ტერორისტები თავს ესხმიან რკინიგზას მუმბაიში - დაღუპულთა რაოდენობა - 182 ადამიანი, დაშავებულთა რაოდენობა- 770., 2005 წლის 9 ნოემბერი, იორდანია : სამი დასავლური სასტუმროს დაბომბვა ცენტრალურ ამანში - დაღუპულთა რაოდენობა - 67, დაშავებულთა რაოდენობა - 150., 2005 წლის ოქტომბერი, რუსეთი: თავდასხმა ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქ ნალჩიკში -დაღუპულთა რაოდენობა - 130., 2005 წლის 1 ოქტომბერი, ინდონეზია: სამმა სუიციდმა აიფეთქა თავი ინდონეზიის დასასვენებელ კუნძულ ბალიზე. დაღუპულთა რაოდენობა - 22 ადამიანი., 2005 წლის 23 ივლისი, ეგვიპტე : ეგვიპტის დასასვენებელ კურორტზე შარმ ელ შეიხზე დაბომბვის შედეგად დაიღუპა 64 ადამიანი უცხოელი ტურისტების ჩათვლით., 2005 წლის 7 ივლისი, ბრიტანეთი: სამი მეტროს და ავტობუსის დაბომბვა, დაღუპულთა რაოდენობა - 56, დაშავებულთა რაოდენობა - 700., 2004 წლის 1 სექტემბერი, რუსეთი: 30 კაციანი ჯგუფი შეიჭრა ბესლანის სკოლაში, სადაც 1100 მძევალი აიყვანეს. დაღუპულთა რაოდენობა - 300., 2004 წლის 1 მარტი, ესპანეთი: 10 ბომბი აფეთქდა მატარებელში. დამნაშავეები მაროკოელი ისლამისტები არიან. დაღუპულთა რაოდენობა - 191., 2003 წლის ნოემბერი, თურქეთი: სტამბოლში მოხდა აფეთქებები. დაღუპულთა რაოდენობა - 33., 2003 წლის მაისი, მაროკო: კასაბლანკას პორტში ისლამისტების 5 შეტაკების შემდეგ დაღუპულთა რაოდენობა შეადგენდა 45-ს.“<sup>29</sup>

აუცილებლად უნდა ვახსენოთ 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში მომხდარი მოვლენა, როდესაც ალ-ქაიდამ წარმატებით შეძლო აშშ-ის

<sup>29</sup> <http://intermedia.ge/> ჯინჯველიძევილი. ქ. სტატია., თანამედროვე ტერორიზმი და მისი ისტორია .

ტერიტორიაზე ჯერჯერობით ერთადერთი კატასტროფული ტერორისტული აქტის განხორციელება, სწორედ ეს ფაქტი გახდა გარდამტეხი საზოგადოების მიერ, როგორც ტერორიზმის ასევე ტერორისტების აღქმის ტენდენციაში. ტყუპი ცათამბრჯენების აფეთქებამ ათასობით ადამიანი იმსხვერპლა. აგრეთვე მნიშვნელოვან როლს ასრულებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. მსოფლიოში ძალადობის ფაქტები ხშირია და ასევე იზრდება ტერორისტული შეტაკებების რიცხვიც, მაგრამ მედიის დახმარებით მხოლოდ იმ ტერაქტებზე ხდება ყურადღების გადატანა, რომელიც მუსლიმების მიერაა ჩადენილი. გარდა მუსლიმური დაჯგუფებებისა არსებობს კიდევ სხვა რელიგიური დაჯგუფებები, რომელზეც საზოგადოების დიდ ნაწილს არავითარი ინფორმაცია არ აქვს. მაგალითისთვის გავიხსენოთ ანდერს ბრეივიკის მიერ ოსლოში მოწყობილი აფეთქება და ნორვეგიის შრომის პარტიის ახალგაზრდულ ბანაკზე განხორციელებული თავდასხმა, რომლის შედეგადაც 151 ადამიანი დაიჭრა, ხოლო 77 გარდაიცვალა.

აგრეთვე არაისლამისტური დაჯგუფებებიდან შეგვიძლია გამოვყოთ, საფრანგეთის ტერორისტული დაჯგუფება, იგი ცხნობილია, როგორც კორსიკის ეროვნული განმანთავისუფლებელი ფრონტი, ბოლო 40 წლის განმავლობაში მან განახორციელა 10 ათასზე მეტი ძალადობრივი აქტი. ამ ორგანიზაციის წევრები ქრისტიანები არიან.

მსოფლიოში არსებული ტერორისტული დაჯგუფებებიდან, დღეისთვის ყველაზე ძლიერი და სასტიკი „ისლამური სახელმწიფო“ ISIS-ია, ეს ორგანიზაცია , ოფიციალური ცნობით ერაყში, ალქაიდას ერთ-ერთი დაჯგუფებიდან განვითარდა, დღეს იგი მთელს მსოფლიოში ახალ გლობალურ საფრთხედ არის მიჩნეული, მის წინააღმდეგ აშშ და ირანიც კი გაერთიანდა. ისინი განსაკუთრებული სისასტიკით ეპყრობიან განსხვავებული რელიგიის ადამიანებს, მათ შორის, ქრისტიანებს, იეზიდებს, შიიტებს. მათთვის ვინც სუსტი არაა ყველა დამნაშავეა. მათი სისასტიკე იქმადე მივიდა, რომალქაიდამაც კი უარი განაცხადა ამ ორგანიზაციასთან კავშირზე, და გაავრცელა განცხადება, რომ მათ ქმედებებზე ისინი პასუხს არ აგებენ.

და ბოლოს, ყველაზე საშინელი ფაქტი ის არის, რომ ტერორისტული ორგანიზაციები ხშირად ბავშვებს და მოზარდებს აყალიბებენ თვითმკვლელ კამიკაძეებად. მაგ: 2006 წელს ერთ ერთმა ისლამისტურმა ტერორისტულმა ორგანიზაციამ „ჰამასმა“ შექმნა საიტი ბავშვებისთვის, რომელშიც ადიდებენ მოზარდ თვითმკვლელ ტერორისტებს, მისი დახმარებით ბავშვებს მოუწოდებენ დაადგნენ შაჰიდის გზას.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში მრავალი ტერორისტული დაჯგუფება არსებობს, თუმცა მიუხედავად ამისა ყველაზე მამტაბური და საშიში ისლამური დაჯგუფებებია. დღეს ცივილიზებული მსოფლიო ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ტერორისტულ აქტებში მონაწილე პირები და დაჯგუფებები, რათა ისინი მართლმსაჯულების წინაშე წარსდგნენ, ამ საქმეში განსაკუთრებული და მნიშვნელოვანია აშშ-ს და სხვა განვითარებული ქვეყნების როლი. თანამედროვე ვითარებაში ტერორიზმმა მამტაბური სახე მიიღო და მსოფლიო ტერორიზმის ფორმა მიიღო, ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლისთვის საჭიროა მთელი კაცობრიობის ერთიანი ძალისხმევა.

## **2.1. ტერორისტი ქალები, ბრძოლა თანასწორობისათვის**

საყურადღებოა, რომ ტერორისტები, ტერორისტული აქტების დაგეგმვისას, ყველაზე მეტად ფსიქოლოგიურ ეფექტზე აკეთებენ ფსონს და ის გაცილებით მაღალია, თუ თვითმკვლელი ტერორისტი ქალია. სწორედ ეს გახდა ძირეული მიზეზი იმისა, რომ დღეს ქალები უფრო ხშირად გვევლინებიან კამიკაძეების როლში. გარდა ამისა მათთვის მარტივია ხალხმრავალ ადგილებში შეღწევა. ქალი თვითმკვლელი ტერორისტები მამაკაც თვითმკვლელ ტერორისტებისგან იმით განსხვავდებიან, რომ შედარებით ნაკლებ ეჭვს იწვევენ საზოგადოებაში და მათთვის მარტივია სამიზნესთან მიახლოება. მათ სამოსში მარტივია ასაფეთქებელი საშუალების დამალვა.

„შაჰიდი, თვითმკვლელები, ცოცხალი ბომბები“- ამ ქალებს სხვადასხვაგვარად უწოდებენ, თუმცა მათი ქმედებების სქემა ყოველთვის

ერთნაირია: ფეთქებადი ქაშრები, მომაკვდინებელი აფეთქება ხალხმრავალი ადგილები. თუმცა, არც თუ ისე დიდი ხნის წინ ქალთა ტერორიზმი არ იყო აღიარებული სამეცნიერო საზოგადოებაში, როგორც სპეციალური ფენომენი, რომელიც სპეციალურ შესწავლას მოითხოვდა. ასე, რომ 1960-70 იან წლებში გამოიცა მთელი რიგი კვლევები, რომელთა ავტორები აცხადებენ, რომ „...ფსიქიკურად ჯანმრთელ ქალებს არ შეიძლება მოუვიდეს აზრად ჯანმრთელი ადამიანების, მათ შორის ბავშვების მკვლელობა, ბარბაროსული, ტერორისტული მეთოდების დახმარებით.“<sup>30</sup> მართლაც, დიდი ხნის განმავლობაში ქალთა როლი ტერორისტულ სტრუქტურებში შემოიფარგლებოდა, შემოწირულობების შეგროვებაზე, უსაფრთხო სახლების ორგანიზებისა და ფურცლების გავრცელებაზე.

ქალი კამიკაძეები არანაირად არ უწყობენ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებას ხელს, ისინი წარმოადგენენ ერთგვარ „საზარბაზნე ხორცს“ და ხშირად გმირებად აცხადებენ, მშვიდობიან დროს კი მათი სტატუსი საზოგადოებაში უცვლელი რჩება.

ცნობილი ამერიკელიმა მწერალმა ასევე ფემინიზმის მომხრე, ელიზაბეტ დონელმა ქალი-კამიკაძეების შესახებ განაცხადა: „ეს არის ნაბიჯი უკან ფემინიზმის გზაზე და ნაბიჯი წინ არაადამიანობისკენ“.

საინტერესოა, თუ სად იღებს ქალთა ტერორიზმი სათავეს და ვინ იყვნენ პირველი ტერორისტი ქალები?

თვითმკვლელ ტერორისტ ქალებს ძირითადად აერთიანებთ, ოჯახის წევრების დაკარგვა, მათი უმეტესობა ქვრივია, რაც მათ თავს უიმედოდ და იზოლირებულად აგრძნობინებს, ეს არის მათი ქმედების ძირითადი მოტივი. 2003 წელს 29 წლის პალესტინელმა მოსამართლემ თავი აიფეთქა ჰაიფას რესტორანში, შედეგად 20 ადამიანი დაიღუპა, უფრო მეტი კი დაშავდა. ქალის ამ გადაწყვეტილებას ოჯახის წევრები ხსნიან იმით, რომ მას ჰქონდა შურისძიების მომენტი, რადგან ისრაელის სამხედრო ძალებმა, მისი ძმა და საქმრო მოკლეს. ეს

---

<sup>30</sup> საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი., დიპლომატია და სამართალი.,გამომც., „უნივერსალი“, გვ. 139.

და კიდევ სხვა მრავალი ფაქტი არსებობს, რაც ახლობლის დაკარგვით განცდილმა ემოციამ გამოიწვია.

თვითმკვლელი ტერორისტების მაგალითზე, საყურადღებოა ჩეჩენი ქალები, რომლებსაც კრემლში „შავი ქვრივები“ უწოდეს. მათ შურისძიების სურვილს საფუძვლად უდევს 1990-იან წლებში, ქმრის, ძმების, მამისა და შვილების რუსული სამხედრო ძალების მიერ მკვლელობა.

შავი ქვრივი ობობას ერთ-ერთი სახეობაა, რომლის მდედრობითი წარმომადგენელი შეჯვარების შემდეგ მამრ ობობას ჭამს. ხალხში კი შავ ქვრივებს უწოდებენ იმათ, რომელთა ქმრებიც გათხოვებიდან მალევე იხოცებოდნენ. ზოგჯერ ეს შეიძლება უბედური შემთხვევით ყოფილიყო გამოწვეული, ზოგჯერ კი კარგად დაგეგმილი მკვლელობით.

სხვა ცნობით „შავმა ქვრივებმა“ ეს სახელწოდება, გრძელი შავი კაბების გამო მიიღეს, რომლითაც ბევრი ქალი იმოსებოდა, მათი უმრავლესობა მონაწილეობდა ისეთ ტერაქტებში, როგორცაა მაგ: 2002 წელს მძევლების აყვანა მოსკოვში სპექტაკლზე „ნორდ ოსტი“ და 2004 წლის სექტემბერში ბესლანის სკოლაში მძევლების მასობრივი მკვლელობა, მათ შორის 186 ბავშვი დაიღუპა.

თვითმკვლელი ქალების მასობრივი გამოყენება დაფიქსირდა შრი-ლანკაში.

ტერორიზმის ამერიკელმა მკვლევარმა ბრაიან ჯენკინსმა 1974 წელს დაასკვნა, რომ ტერორიზმი თეატრია, რომ ყველა ტერორისტი თეატრალურ სანახაობას ამსგავსებს საკუთარ ქმედებას, აჰყავთ მძევლები შემდეგ კი მედიასთან კონტაქტს ითხოვენ და ღია ეთერში სურთ საზოგადოებასთან საუბარი. ქალი ტერორისტები კი პრესის დიდი ყურადღებით სარგებლობენ, რაც მათ საშუალებას აძლევს უფრო წარმატებული პროპაგანდა გაუწიონსაკუთარ იდეებსა და ორგანიზაციას.

ფსიქოლოგმა კლარა ბეილერმა თვითმკვლელი ტერორისტების სიკვდილისწინა ქმედებებისა და გზავნილების ფონზე დაადგინა, რომ: „...ცოცხალ ჭურვად“ ქცევამდე მამაკაცებსა და ქალებს სხვადასხვა მიზეზი აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ მოტივები ერთი და იგივეა - რელიგიური ვალი ან

თავისუფლებისთვის ბრძოლა, მამაკაცები საკუთარი იდეალების მიღწევას ცდილობენ, ქალები კი კამიკაძის როლს იმიტომ ასრულებენ, რომ იმ ცხოვრებას გაექცნენ, რაც სინამდვილეში აქვთ ან მომავალში ექნებათ.“ ასევე ფსიქოლოგის აზრით ქალები ტერაქტს იმიტომ სჩადიან, რომ ქალად ყოფნა შეწყვიტონ.

კიდევ ერთი მიზეზი ქალი ტერორისტების მომრავლებისა, არის ის რომ, ქალები უფრო ადვილად სამართავი არიან, ისინი უკეთ ექვემდებარებიან „ტვინის გამორეცხვის“ მეთოდს, მაგალითად „თამილ ილამის განმანთავისუფლებელი ვეფხვები“ თავიანთი შეტევების 70%-ს ქალების მეშვეობით ახორციელებენ. ასევე, „ქურთ მუშათა პარტიის“, ტერორისტებიც, მსგავს საქმეებზე ქალებს აგზავნიან, ისინი ამ დროს ორსულობას თამაშობენ. მაგ: რაჯივ განდი, ინდოეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ასევე თვითმკვლელმა ტერორისტმა ქალმა იმსხვერპლა, რომელსაც კაბის ქვეშ , ასაფეთქებელი ქამარი ჰქონდა დამაგრებული. ეს მოხდა 1991 წელს „თამილის ვეფხვების“ მიერ ორგანიზებული ტერაქტის შედეგად, შემთხვევის შედეგად პრემიერ-მინისტრის გარდა კიდევ 14 ადამიანი დაიღუპა.

რაც შეეხება შაჰიდებს, ცნობილია, რომ ისინი სიმამაცეს, რელიგიითაც ამყარებენ, „მამაკაცებს სამოთხეში უამრავი ქალი, დიდი ბედნიერება და განცხრომა ელით - ამას ჰპირდება მათ რელიგია. რა ელით ქალ შაჰიდებს? ისინი სამოთხეში უფრო ლამაზები გახდებიან, ყველა გასათხოვარს იქ ქმარი ელის, ხოლო მისი 70 ნათესავი უეჭველად დაიკავებს იმ ქვეყანაში საპატიო ადგილს.“ საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ თვითმკვლელი ტერორისტი მამაკაცების ოჯახები თვეში 400\$ იღებენ, ქალების მხოლოდ ნახევარს.

საყურადღებოა ის ფაქტის, რომ ერთის მხრივ ქალები საკუთარი სურვილით ხდებიან თვითმკვლელი ტერორისტები, გარკვეული მიზეზებიდან გამომდინარე, მაგრამ მეორეა, როდესაც ამას იძულებით, შანტაჟის ან დაშინების გზით აკეთებენ. არსებობს 24 წლის შაჰიდი ქალის **ზეინაბ სუიუნოვნას** მაგალითი, რომელსაც ბრალად ედებათა 2011 წელს მოსკოვის სამხრეთით მდებარე სასტუმროს აფეთქება, დაკავებულმა ქალმა განაცხადა, რომ *„მე სხვა გზა არ*

*მქონდა, მათ ჩემი პატარა გოგონა მოიტაცეს და მისი მოკვლით დამემუქრნენ. მოსკოვის ავტობუსში ჩამსვეს და მითხრეს, რომ თავი უნდა ამეფეთქებინა“<sup>31</sup>*

აგრეთვე ტერორისტულ ორგანიზაციებში ხშირია შემთხვევები, როდესაც ქალებს ნარკოტიკული საშუალებების დახმარებით ან სექსუალური ძალადობის გზით იმორჩილებენ.

გავიგოთ თუ ვინ იყვნენ ტერორისტი ქალები. დავასახელებთ რამოდენიმე მათგანს.

პირველი თვითმკვლეელი ტერორისტი ქალი, 16 წლის ლიბანელი გოგონა **სანა მეჭაიძლი** იყო, რომელიც 1985 წელს სირიის სოციალურ-ნაციონალისტური პარტიის აქტივისტი იყო, იგი ასაფეთქებელი საშუალებებით სავსე ავტომობილით ისრაელის სამხედრო რაზმს შეეჯახა, რის შედეგადაც ორი სამხედრო იმსხვერპლა.

„2004 წლის 14 იანვარს 22 წლის რიმ ალ - რეიაში სამედიცინო დახმარების საბაბით მიუახლოვდა ისრაელის გამშვებ პუნქტს და აამუშავა 5 კილოგრამიანი ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც დამზადებული იყო „მაიბებით“ და ჭანჭიკებით, რიმ ალ-რეიაში გახდა პირველი თვითმკვლეელი ქალი , რომელმაც სახლში დატოვა 3 წლის ვაჟი და ერთი წლის გოგონა.“<sup>32</sup>

### **სოფია პეროვსკაია (1853-1881)**

ტერორისტული აქტის პირველი ორგანიზატორი ქალია, იგი მდიდარი თავადური ოჯახიდან იყო. მას კარგი განათლება ჰქონდა მიღებული და მასწავლებლად და ფელდშარად (ექიმის ასისტენტი, დამხმარე) მუშაობდა. იყო პარტია „მიწა და თავისუფლების“ ორგანიზატორი და აქტიური პროპაგანდისტი. იგი რამდენჯერმე დააპატიმრეს და გადაასახლეს, თუმცა გადასახლებიდან გაქცევა მოახერხა. მან მონაწილეობა მიიღო, მეფე ალექსანდრე მეორის წინააღმდეგ ორგანიზებულ სამ თავდასხმაში, შედეგად ათეულობით ადამიანი დაიღუპა, მეფის წინაარმდეგ განხორციელებული თავდასხმა წარმატებული აღმოჩნდა,

<sup>31</sup> <https://www.kvirispalitra.ge> მუჯირიშვილი. ნ. სტატია., ტერორისტ ქალთა რიცხვი დღითი დღე იზრდება - რა არის მათი მოტივაცია და ვინ იყო პირველი თვითმკვლეელი ტერორისტი ქალი?!

<sup>32</sup> საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი., დიპლომატია და სამართალი.,გამომც., „უნივერსალი“., გვ. 139.

სწორედ ამ წარმატებული თავდასხმის შემდეგ სოფია დააპატიმრეს და ჩამოახრჩვეს.

### **ფაინი კაპლანი (1887-1919)**

პირველი ქალი ბოევიკი, რომელმაც წარმატებით განახორციელა თავდასხმა სახელმწიფო მეთაურზე, დაიბადა მდიდარ ოჯახში. ახალგაზრდობაში ანარქისტებს მიემხრო, მრავალი წელი იჯდა ციხეში, სადაც მხედველობა მთლიანად დაკარგა. ოქტომბრის გადატრიალების გამარჯვების შემდეგ, მემარცხენე ერებს მიემხრო. მან თავდასხმა განახორციელა ვლადიმერ ლენინის წინააღმდეგ და დაჭრა რევოლუციის ბელადი. კაპლანი დახვრიტეს.

### **შიმაზ ამური (1980-2002)**

ეს გახლავთ პალესტინელი სტუდენტი გოგონა, იგი თანამედროვეობის ყველაზე ცნობილი ქალია, რომელმაც საკუთარ სხეულზე ბომბი მიიმარა. 2002 წლის 29 იანვარს მან თავი აიფეთქა იერუსალიმში, რის შედეგადაც ერთი დაიღუპა, 150-მდე ადამიანი კი დაშავდა. ერაყელი დიქტატორის სადამ ჰუსეინის ბრძანებით, მას ბაღდადში ძეგლი დაუდგეს.

ამრიგად, საზოგადოებაში არსებული ქალის სტერეოტიპმა, რომ ის შემწყნარებელი, თანამგრძობი და სუსტი არსებაა, რადიკალურად სხვა სახე მოგვცა. ტერორისტმა ქალებმა საზოგადოებაში „აფეთქებული ბომბის“ ეფექტი გამოიწვია. შესაბამისად ძალიან მნიშვნელოვან საკითხად იქცა ტერორისტი ქალის ფენომენი და ზოგადად ტერორიზმის გლობალური საკითხი და მათი სიღრმისეული შესწავლა საშუალებას მისცემს მსოფლიოს შეიმუშაოს მათთან ბრძოლის სტრატეგიები.

მეციერი სტატისტიკური კვლევების ცენტრიდან იოფფე ტელ-ავივსკი იორამ შვეიცარიის უნივერსიტეტიდან, ავტორი წიგნისა „ტერორის გლობალიზაცია“, ვარაუდობს, რომ: „ტერორისტები გამოიყენებენ ქალებს, როგორც სიმბოლოს იმისა, რომ მათი სახით ბრძოლაში მონაწილეობას იღებს საზოგადოება“.<sup>33</sup> მისი აზრით ქალის მტავარ მოტივი ტერორიზმში მონაწილეობის

---

<sup>33</sup> საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი., დიპლომატია და სამართალი.,გამომც., „უნივერსალი“., გვ. 139



მიღებისა არის პირადი შურისძიება, რაც მთავარ გასამართლებელ საბუთს წარმოადგენს მათთვის.

კარლა კანინგემი, ნიუ-იორკის შტატის უნივერსიტეტის პროფესორი თვლის, რომ: მრავალ საზოგადოებაში, პოლიტიკურ საქმიანობაში ქალთა მონაწილეობის მიუღებლობა უბიძგებს მათ ტერორიზმისკენ. „ქალი არ არის გავლენიანი, მაგრამ მისი როლი ცხოვრებაში უხილავია“.<sup>34</sup> სწორედ ეს „უხილავობა“ ხდის ტერორისტ ქალს განსაკუთრებულად მიმზიდველს. განსხვავებულია ასევე ქალის მიერ გამოხატული აგრესია, მამაკაცის აგრესიისაგან, მამაკაცის ტერორიზმის საფუძველი არის ინსტრუმენტული აგრესია ხოლო ქალისა კი ემოციური.

დღეს უკვე, მართლაც, აღარ არსებობს არანაირი ბარიერი, ყოველდღე იზრდება ტერორისტ ქალთა რიცხვი. ტერორისტული დაჯგუფებები ყოველთვის ცდილობენ შეცვალონ და განავითარონ ბრძოლის ტაქტიკა, ქალ ტერორისტთა გამოჩენა შეიძლება ჩაითვალოს ბრძოლის ახალ იარაღად.<sup>35</sup>

## 2.2. უსაფროება ჩადრის ქვეშ

მაჰმადიანი ქალების ხსენებისას თავშებურული, უარეს შემთხვევაში კი სახედაფარული ადამიანი წარმოგიდგებათ. ეს არის ტრადიცია, რომელსაც ზოგიერთ ისლამურ ქვეყანაში ძალიან მკაცრად იცავენ, ზოგან კი ნაკლებად.

მუსლიმანურმა შარიათმა დააკანონა ახალი კანონები, რომლებიც აიძულებდა ქალს კარჩაკეტილ ცხოვრებას (ჰიჯაბი).

ჰიჯაბი, ეს არის ჩაცმულობის ფორმა და რამოდენიმე სახისაა, მისი სხვადასხვაობა დამოკიდებულია ისლამის სხვადასხვა განშტოებებზე. განსხვავებული სტილის მიუხედავად, შემოსვის უმთავრესი პრინციპი, ზომიერებას და მოკრძალებულობას ეფუძნება, რაც ყველა მუსლიმმა უნდა

---

<sup>34</sup> საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი., დიპლომატია და სამართალი.,გამომც., „უნივერსალი“., იქვე.

<sup>35</sup> ჩქოფოია. ს საერთაშორისო ტერორიზმის ისტორიულ-პოლი ასპექტები, 2017.

გაითვალისწინოს, ამდენად მუსლიმთა სამოსი ისლამური კულტურის განუყოფელი ნაწილია.

მუსლიმანები პირველ თებერვალს აღნიშნავენ ჰიჯაბის დღეს, 2013 წლიდან, ამ დღეს მუსლიმანი ქალები იხურავენ ჰიჯაბს, რითაც პატივს მიაგებენ ისლამურ ტრადიციებს.

ისლამურ ქვეყნებში ქალის სამოსის სახეებია:

**ჰიჯაბი** - არაბული სიტყვაა და „დამალვას“ ნიშნავს, მსგავსი სამოსი მუსლიმან ქალს თავიდან ფეხებამდე ფარავს, თუმცა არსებობს ჰიჯაბის უფრო ვიწრო მნიშვნელობაც, რომელიც ქალის თავსაბურავს ნიშნავს, იგი მთლიანად ფარავს თმას, ყურებს და ყელს, უმეტეს შემთხვევაში მხრების ნაწილსაც, სახე არ იფარება.

**ამირას ჰიჯაბი** - ეს თავსაბურავი ორი ნაწილისგან შედგება, ერთიქუდის მსგავსია, მეორე სარფივითაა, იგი ფარავს მხრებს, ამირა ნიშნავს პრინცესას.

**ნიქაბი** - შავი ფერის თავსაბურავია, რომელიც მთლიანად ფარავს სახეს და ტმას, მხოლოდ თვალებისთვის აქვს ჭრილი, ნიქაბს ხშირად ნიქაბს სპარსეთის ხმარობენ, პაკისტანში და იემენში.

**ჩადრი** - სამოსი, რომელიც მთლიან სხეულს ფარავს, თმის ღერიდან ფეხის ტერფამდე, მაგრამ სახე არ იფარება, მას ნიქაბთან ერთად ატარებენ. ძირითადად ირანშია გავრცელებული.

**ფარანჯა** - იგი ხალათის მსგავსი უსახელო სამოსია, რომელიც მთლიანად ფარავს, როგორც სხეულს ასევე სახეს, თვალების ჭრილი მძკიდრო ბადით არის დაფარული, ეს სახეობა ძირითადად შუა აზიაშია გავრცელებული, ამავე სამოსის სტილს მიეკუთვნება **ბურკაც** - იგი ფარავს ქალის სხეულის ზედა ნაწილს.

**ხიმარი** - ერთგვარი მოსაცმელია, რომელსაც აქვს სახის გამოსაყოფი, იფარება თმა, მხრები, ყურები და წელამდე სიგრძისაა, გავრცელებულია თურქეთში და ახლო აღმოსავლეთში.

ისლამურ მიმდევრები სამოსელის ტარებას, კაცის და ქალის შემთხვევაშიც რელიგიას უკავშირებენ. ინდოეთის მანიპალის უნივერსიტეტის გეოპოლიტიკის

ინსტიტუტის ხელმძღვანელი ნადავ დას ნალაპატი, ისლამზე წერს, და მისი აზრით ყურანი არ მოითხოვს თავსაბურავს თუ ჩადრს:

„ბევრი, ვისაც არ წაუკითხავს - ან წაუკითხავს და არასწორად გაუგია - ყურანი, ფიქრობს, რომ წინასწარმეტყველ მუჰამედის მიერ 610-632 წლებში მიღებული ღვთის სიტყვა, დასჯის სახით, შეიცავს ქალების მიერ ჩადრის ტარების, ისევე როგორც სახის მთლიანად დაფარვის, ვალდებულებას. მაგრამ ეს ასე სრულიადაც არ არის. ყურანის ფილოსოფია ჰარმონიაშია ყოვლისშემძლის მიერ საკუთარი თავის როგორც მოწყალის, მიმტევებლის, ღმობიერის წარმოდგენასთან.“<sup>36</sup>

ნალაპატი ამბობს, რომ ისლამის წარმოშობის პერიოდში, არაბეთის ნახევარკუნძულზე ქალი ძალიან ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა, იგი ერთგვარ სათამაშოს წარმოადგენდა კაცებისთვის და მხოლოდ წინასწარმეტყველი მუჰამედის გამოჩენის შემდგომ გამოსწორდა ქალის მდგომარეობა. ამავე მოსაზრებას ადასტურებს, აღმოსავლეთმცოდნე, ყურანის ქართულად მთარგმნელი პროფესორი გიორგი ლობჯანიძე, იგი წერს:

„უნდა გაითვალისწინოთ არაბეთის ნახევარკუნძულის მდებარეობა და იქ მცხოვრებთა მენტალიტეტი. იმ სიტუაციაში, როცა არაბს იმდენად არ უხაროდა ქალის, გოგონას დაბადება, რომ ცოცხლად მარხავდა ახალშობილს, ისლამი გარკვეულად პროგრესული რელიგია იყო, იმიტომ რომ ქალს მიანიჭა უფლებები, უკვე რელიგიურად აღიარებული და დაკანონებული. ამდენად, ქალი ჩაითვალა სრულფასოვან არსებად.“

საინტერესოა აგრეთვე გიორგი ლობჯანიძის მოსაზრება მუსლიმი ქალის ჩაცმულობის შესახებ:

„ყურანში თვითონ ჩაცმულობის ტიპზე ლაპარაკი არ არის, რა ტიპის ტანსაცმელი უნდა ეცვას ქალს. უბრალოდ, არის გარკვეული მინიშნებები, რომ ქალებმა აუცილებელია „ფეხები სწორად წაიღონ“ (ბუნდოვანი ფრაზაა) და გამოიკრან თავსაფრის ბოლოები მკერდთან, ანუ მკერდის ნაწილები დაიფარონ და თავი ჰქონდეთ დაფარული.“

<sup>36</sup> <https://www.radiotavisupleba.ge/> სტატია., ისლამი ქალებს არ ატყვევებს.

იგი განმარტავს ასევე იმას, რომ არსებობს ე. წ მძიმე ჩადრი, როდესაც ქალის სახე მთლიანად დაფარულია, და ჩადრის შედარებით მსუბუქი ფორმა როდესაც თმა იფარება, ამასთან ქალი ტრადიციულ სამოსელშია გამოწყობილი. ქალის ჩაცმულობას აგრეთვე უკავშირდება აგრეთვე მუჰამედის მეორე ცოლის აიშას თავგადასავალს:

„ახალგაზრდა აიშა მუჰამედმა ერთ-ერთი ლაშქრობის დროს თან იახლა. როცა ლაშქრობიდან ბრუნდებოდნენ, გადახსნეს ჩარდახი, სადაც აიშა უნდა ყოფილიყო და აღმოაჩინეს, რომ ის იქ აღარ იყო. ცოტა ხანში მუჰამედის ბანაკს დაეწია მუჰამედის ერთ-ერთი ახალგაზრდა მხლებელი და მიმდევარი სასლანი, რომელსაც თავის ცხენზე შემოესვა აიშა და მოჰყავდა. როგორც ქალი ჰყვებოდა, ცოტა ხნით კარვიდან გამოსულიყო რაღაც საქმეზე, მძივები გაჰფანტოდა, ერთი ვერსიით, და ამასობაში ბანაკი აყრილიყო და წამოსულიყვნენ - ისე შეედგათ ეს ჩარდახი აქლემსა თუ ცხენზე, რომ ვერავის ვერაფერი გაეგო. როცა ქალს დაენახა, რომ ბანაკი აყრილიყო და წასულიყო, ატირებულიყო, დამჯდარიყო და ლოდინი დაეწყო, იქნებ ვინმემ გამოიაროსო.. ამასობაში სასლანს ჩამოევლო შემთხვევით, ენახა აიშა და ერთად წამოსულიყვნენ. ასე უამბეს მუჰამედს, რომელმაც, ჩანს, ნაამბობი არ დაიჯერა და მოციქულის ოჯახში განხეთქილება მოხდა. აიშა იძულებული გახდა, მშობლების სახლში დაბრუნებულიყო.“

„ირანში არსებობს ერთი ლოზუნგი, რომელიც ხშირად წამიკითხავს: „ჰიჯაბი არის ჩემი ციხესიმაგრე და არა ციხე“, ამბობს ქალი. ქალის გამოსახულებაზეა ეს წარწერა. ჰიჯაბი ჩაცმულობას ჰქვია. შეიძლება ეს ლოზუნგი, სადღაც მართალი იყოს, თუმცა, ცხადია, ყველა ადამიანს ისე უნდა ეცვას, როგორც მას მიაჩნია საჭიროდ“, ამბობს გიორგი ლობჯანიძე.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს მუსლიმანური სამოსის ტარებაზე შეზღუდვები, გამომდინარე იქიდან, რომ ახლო აღმოსავლეთში და არაბულ ქვეყნებში არასტაბილური მდგომარეობაა, მუსლიმანი მიგრანტები დასავლეთში ჩადიან, რის გამოც ცალკეულ ქვეყნებში შარიათის წესების შესრულებაზე მათთვის გარკვეული შეზღუდვები არსებობს.

## საფრანგეთი

2011 წლის აპრილში საფრანგეთი გახდა პირველი ევროპული ქვეყანა, სადაც საჯარო სივრცეებში, აიკრძალა მთელი სახის დამფარავი თავსაბურავის ტარება. აგრეთვე 2016 წელს აკრძალეს ე. წ შარიათის საცურაო კოსტიუმი - „ბურკინი“. პრემიერ მინისტრმა, მანუელ ვალსმა მას „საჯარო სივრცეში პოლიტიკური ისლამის დამკვიდრება“ უწოდა.

### **გერმანია**

2016 წელს დეკემბერში , გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკერმა განაცხადა, რომ ისეთი თავსაბურავის ტარება, რომელიც სახეს მთლიანად ფარავს, გერმანიაში, ყველგან უნდა აიკრძალოს სადაც ეს შესაძლებელია. თუმცა მსგავსი კანონი გერმანიაში არ მოქმედებს.

### **ბელგია**

საფრანგეთის მსგავსად, 2011 წელს აიკრძალა სახის დამფარავი თავსაბურავის ტარება, რადგან საზოგადოებრივ ადგილებში პიროვნების იდენტიფიცირებას ხელს უშლის

### **რუსეთი**

რუსეთში, სტავროპოლის ოლქში ჰიჯაბის ტარება აკრძალულია, კანონი მიღებულ იქნა 2013 წლის ივლისში, რუსეთის უზენაესი სასამართლოს მიერ.

2007 წელს ჩეჩნეთის პრეზიდენტმა, რამზან კადიროვმა რესპუბლიკის სახელმწიფო უწყებებში ქალების თავსაბურავის გარეშე შესვლა აკრძალა. კადიროვმა ასევე მხარი დაუჭირა მამაკაცებს, რომლებიც შარიათის დამრღვევი ქალების მისამართით ე. წ პეინტბოლის შაშხანებიდან ისროდნენ.

ფარაჯის ტარება აკრძალეს ცენტრალური აფრიკის სამ ქვეყანაში, კონგოში, გაბონში და ჩადიში. ასევე აიკრძალა კამერუნის ჩრდილოეთ რეგიონებში, მას შემდეგ რაც, მოხდა ტერორისტული აქტი, რომელსაც 33 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ფარაჯით შემოსილმა ტერორისტებმა მოაწყვეს.

კამერუნში კი ორმა თვითმკვლელმა ტერორისტმა ქალმა აიფეთქა თავი და 13 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

არსებობს ასევე ცნება „შინაგანი ჰიჯაბი“, მას იშვიათად ახსენებენ, რადგან უხილავია, იგი შინაგან ანუ სულიერ თვისებებს გულისხმობს, მაგ: ღმერთისადმი პატივისცემა.

უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონების მიხედვით განსხვავებულია ტრადიციული ტანისსამოსის ფერი და ფასონი, მაგალითად საუდის არაბეთში კაცის ტანისსამოსი თეთრია ქალის კი შავი. ამბობენ, რომ ეს ისტორიას უკავშირდება, საომარ წარსულს: არაბულ ტომებს შორის შეტაკებები ხშირად ღამით იმართებოდა, შესაბამისად სავეხში ჩაცმულ ქალს თავისუფლად შეეძლო დამალვა, მამაკაცები კი პირიქით შესამჩნევები უნდა ყოფილიყვნენ მტრისთვის, ამ გადმოსახედიდან ჩანს, რომ ქალებს უფრო ხილდებოდნენ.

ამრიგად, მუსლიმანი ქალებისთვის ჰიჯაბის ტარების ტრადიცია, დაკავშირებულია ნაწილობრივ რელიგიასთან და 1979 წელს მომხდარ ისლამურ რევოლუციასთან, რომლის შემდეგაც მუსლიმი ქალებისთვის ტრადიციული და ყოველდღიური სამოსი გახდა ჰიჯაბი.

## დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ახლო აღმოსავლეთში და ზოგადად ისლამურ სამყაროში, ბოლო დროს საკმაოდ აქტუალურ თემას წარმოადგენს ქალის როლი, როგორც სოციალურ, პოლიტიკურ ასევე რელიგიურ საკითხებში. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მუსლიმურ ქვეყნებში არსებობს რელიგიაზე დაფუძნებული სამართალი და მასშია თავმოყრილი ქალის, ყველა ის უფლება და მოვალეობა, რაც მას გააჩნია.

ქალთა გააქტიურება პოლიტიკაში განაპირობა სხვადასხვა ფაქტორებმა, მათ შორისაა: რელიგია, განათლება, კოლონიალიზმის გავლენა, საარჩევნო უფლების მოპოვება, კვოტირების სისტემის მნიშვნელობა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა საკითხებისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონფერენციები და მათი წვლილი ქალთა პოლიტიკური აქტივობის საქმეში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახლო აღმოსავლეთში, რელიგია ერთ-ერთი მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორია ქალების პოლიტიკურად გააქტიურების საქმეში, აგრეთვე ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენს პატრიარქალური სტრუქტურა და კონსერვატიული მიდგომა, კულტურა და ტრადიციები, რაც ძირითადად გამოიყენება იმის გასამართლებლად, რომ ქალის ადგილი არ არის პოლიტიკაში.

ეპოქაში, სადაც მსოფლიოს განვითარებული სახელმწიფოები იბრძვიან დემოკრატიული პრინციპების გასაძლიერებლად, არსებობს ცალკეული ქვეყნები, სადაც განვითარება ამ კუთხით მნიშვნელოვნად დაბალია, რადგან ისინი თვლიან, რომ შორს დგანან დემოკრატიისგან, მათი ძირითადი ქცევები და უფლებები, მათ საკუთარ რელიგიას და ტრადიციას ემყარება, სადაც ზუსტადაა განსაზღვრული ქალის როლი.

მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმი აპოლოგები იდეალურ დამოკიდებულებას გვიხატავენ ქალებისადმი ისლამში, ვფიქრობ, რომ ეს მხოლოდ სიმართლის დაფარვის მცდელობაა და არაფერი აქვს საერთო რეალობასთან. რეალობა არის შემდეგი: ყურანი ნებას რთავს ქმარს, რომ სცემოს ცოლი! ასევე ისლამში კაცი ქალზე აღმატებულია, როგორც უფლებრივად ასევე მორალურადაც.

აგრეთვე, მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა ისლამურმა რევოლუციამ, რამაც რადიკალური ცვლილებები გამოიწვია, როგორც პოლიტიკურ ასევე ქალებთან მიმართებაში, ფაქტია, რომ რელიგიური ფუნდამენტალისტების მიერ ჩამოყალიბებული რეჟიმი გაცილებით უფრო სასტიკი და სისხლიანი აღმოჩნდა, ვიდრე მონარქია, რომელიც აბსოლიტური ძალაუფლებით იყო აღჭურვილი.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ახლო აღმოსავლეთმა, გენდერული უთანასწორობის მხოლოდ 59%-ის ამოვსება მოახერხა, ეკონომიკურ სფეროში მხოლოდ 39%, ხოლო პოლიტიკურში 7%-ზე ნაკლები.

ნაშრომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხს წარმოადგენს ტერორიზმი, შეიძლება ითქვას, რომ ესეც ერთგვარი პროტესტი და საკუთარი აზრის ამ გზით დაფიქსირების ხერხია იმ ქალების მხრიდან, რომლებიც უსამართლობის მსხვერპლი არიან, რომლებსაც არ აქვთ თავისუფალი აზრის გამოხატვის უფლება, მართალია, რომ არც მათი ქმედება არ არის გამართლებული, თუმცა ქვეყანაში სადაც ქალის უფლებები თითქმის მინიმუმამდეა დაყვანილი, მხოლოდ ამ გზით ახერხებენ პროტესტის გამოხატვას და განთავისუფლებას ქალის მძიმე ხვედრისგან.

როგორც უკვე ავღნიშნე, ტერორიზმი ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა მსოფლიოში, დღესსათვის მრავალი ტერორისტული დაჯგუფება არსებობს, თუმცა მიუხედავად ამისა ყველაზე მაშტაბური და საშიში ისლამური დაჯგუფებებია. დღეს ცივილიზებული მსოფლიო ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ტერორისტულ აქტებში მონაწილე პირები და დაჯგუფებები ამხილოს, რათა ისინი მართლმსაჯულების წინაშე წარსდგნენ, ამ საქმეში განსაკუთრებული და მნიშვნელოვანია აშშ-ს და სხვა განვითარებული ქვეყნების როლი. თანამედროვე ვითარებაში ტერორიზმმა მაშტაბური სახე მიიღო და მსოფლიო ტერორიზმის ფორმა მიიღო, ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლისთვის საჭიროა მთელი კაცობრიობის ერთიანი ძალისხმევა.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. გელოვანი ნ., ქალი ისლამში (VII-X სს.) თბილისი., 2005 წ.



2. გელოვანი. ნ., ქალი ისლამში., გამომც., „უნივერსალი“, გვ. 13.
3. ერსან ო., ქალი ისლამში ., ბათუმი 2011 წ.
4. იბრაჰიმ ჯანან, ქუთუბი სითთე, თარგმნა და განმარტება, ტომი II, გვ, 484.
5. კლიმოვიჩი ლ.ი., ისლამი და ქალი., სახელმწიფო გამომცემლობა., ბათუმი 1959 წ.
6. სანიკიძე, გ. შიიზმი და სახელმწიფო ირანში. თბილისი 2005.
7. ჩქოფოია. ს. საერთაშორისო ტერორიზმის ისტორიულ პოლიტიკური ასპექტები., გამომც „უნივერსალი“, თბილისი 2017 წელი.
8. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, გამომცემლობა ინტელექტი, 2019 წ.
9. სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი ენა და კულტურა., ქუთაისი., 2012 წ.
10. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „დიპლომატია და სამართალი“, გამომც., „უნივერსალი“, საქართველო, თბილისი 2018 წ.

## დამატებითი წყაროები:

- <https://on.ge/story/33390> ზარქუა. ა. სტატია., როგორ გადაიქცა სეკულარული ირანი ისლამურ თეოკრატიად — ირანის ისლამური რევოლუცია.
- <http://intermedia.ge/> ჯინჭველეიშვილი. ქ. სტატია., თანამედროვე ტერორიზმი და მისი ისტორია.
- <https://www.kvirispalitra.ge> მუჯირიშვილი. ნ. სტატია., ტერორისტი ქალთა რიცხვი დღითი დღე იზრდება - რა არის მათი მოტივაცია და ვინ იყო პირველი თვითმკვლელი ტერორისტი ქალი?!
- <https://www.radiotavisupleba.ge/> სტატია., ისლამი ქალებს არ ატყვევებს.